საქართველოს პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში

14 მაისი 2021 წელი

სარჩევი

საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმირება 2013-2020 წლებში 4-6

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 6-10

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 10-31

- სისხლისსამართლებრივი დევნა
- სრულწლოვანთა განრიდება
- აღკვეთის ღონისძიებები
- სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 32-41

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 42-52

- გამოძიების დაწყება
- სისხლისსამართლებრივი დევნა
- განაჩენები
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გამოძიების პროცესში (პროგრამა IBM12)
- იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა 52-73

- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
- შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები
- არასათანადო მოპყრობა
- ტრეფიკინგი
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია
- კორუფციული დანაშაული
- ნარკოტიკული დანაშაული

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 74-77

საპროკურორო ზედამხედველობა და ანალიტიკური საქმიანობა 77-81

- სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა
- ანალიტიკური პორტალი
- Bench & bar

სარჩევი

პროკურატურის ადამიანური რესურსები 81-96

- შეფასების სისტემა
- მენტორობის პროგრამა
- რანგირების სისტემა
- საქართველოს პროკურატურაში თანამშრომელთა მიღების, შემოწმების, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების, დაქვეითების, თანამდებობრივი გადაადგილების (როტაციის) წესი
- პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება
- პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა
- კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები 96-98

ეთიკის კოდექსი 98-99

საერთაშორისო ურთიერთობები 100-104

- პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია IAP
- EUROJUST
- ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისთან (EU AROS) და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) თანამშრომლობა
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა
- Moneyval
- ონლაინ სერვის პროვაიდერებთან თანამშრომლობა
- საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისწარმოების გაციფრულება

საზოგადოებასთან ურთიერთობა 104-111

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური
- ადგილობრივი საბჭოები
- მოქალაქეთა მიღების ელექტრონული პროგრამა

სამომავლო გეგმები 111-114

- სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი დოკუმენტის შემუშავება
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა
- ციფრული ტრანსფორმაცია
- აღდგენითი მართლმსაჯულების მხარდაჭერა
- პროკურატურის თანამშრომელთა სოციალური გარანტიები

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე-მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის წესის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პროკურატურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

წარმოდგენილი ანგარიში შეეხება პროკურატურის საქმიანობას 2020 წელს, სადაც საკმაოდ დეტალურად არის ასახული სტატისტიკური და ანალიტიკური მიმოხილვა, განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და არსებული ტენდენციები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს დგას სისტემა.

2020 წელს, COVID – 19 გამოწვეული პანდემიის გამო, საქართველოს პროკურატურა აქამდე სრულიად ახალი და უცხო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა - ერთი მხრივ, მოეხდინა სისტემაში თანამშრომლებს შორის ვირუსის გავრცელების პრევენცია და, მეორე მხრივ, გაეგრძელებინა ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობა და ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ.

ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების პრევენციისთვის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად წარმართვის და ასევე აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში საკმაოდ სწრაფად განხორციელდა დისტანციური სამართალწარმოებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, პროკურატურის ყველა ოფისი აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით და მოხდა მათი პროგრამული უზრუნველყოფა, რამაც პროკურორებს მისცა შესაძლებლობა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა განეხორციელებინათ პროკურატურის ოფისებიდან. 2020 წლის 22 მარტიდან დღემდე პროკურორებმა ათასობით დისტანციურ სასამართლო პროცესში მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს პროკურატურამ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი იმ ბრალდებულებისთვის, რომელთაც სატელეფონო კომუნიკაცია ბრალდების მხარის მიერ ჰქონდათ შეზღუდული, დაუშვა სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული განპირობებული იყო ბრალდებულთა ოჯახების მხრიდან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაზრდილი ინტერესით.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ 2020 წლის მარტში განცხადება/საჩივრების მიღება დაიწყო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული ელექტრონული ფოსტა გასაჯაროვდა პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და

მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი განცხადება/საჩივრები გამოეგზავნათ ელექტრონულ ფოსტაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პროკურატურის ოფისებში მოქალაქეების მობილობა.

კორონავირუსით (COVID – 19) გამოწვეული პანდემიის პირობებში, 2020 წელს პროკურატურის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა ძირითადად განხორციელდა დისტანციურად.

თუმცა, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური გამოწვევისა, საქართველოს პროკურატურისთვის 2020 წელი მნიშვნელოვანი წარმატების წელი იყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურა ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით მის მიერ დასახულ მიზნებს.

საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმირება 2013-2020 წლებში

საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური განვითარების, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით 2013-2020 წლებში მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. რეფორმები ეფუძნებოდა ვენეციის კომისიის, ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) რეკომენდაციებს.

პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმირება სამ ძირითად ეტაპად 2013, 2015 და 2018 წლებში განხორციელდა.

2013 წლამდე საქართველოს პროკურატურა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა საპროკურორო უფლებამოსილებით აღჭურვილი იუსტიციის მინისტრი, მთავარ პროკურორს კი იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტი, შემდეგ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი. 2013 წელს განხორციელდა პროკურატურის რეფორმირების პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპი და იუსტიციის მინისტრს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს, სრულად ჩამოერთვა საპროკურორო უფლებამოსილებები.

2015 წელს განხორციელებული პროკურატურის რეფორმირების მეორე ეტაპის ფარგლებში პროკურატურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და მისი ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად შეიქმნა დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანო – საპროკურორო საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მთავარი პროკურორის კანდიდატურის შერჩევა. ასევე შეიქმნა საქართველოს პროკურორთა კონფერენცია – პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრება და მის უფლებამოსილებად განისაზღვრა საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების არჩევა.

პროკურატურის რეფორმირების მეორე ეტაპზე განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე არჩევის და თანამდებობიდან გადაყენების ახალი წესის

შექმნა. კანონით განისაზღვრა, რომ მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, იუსტიციის მინისტრი მთავარი პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად იწყებდა ერთთვიან კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. კონსულტაციების შედეგად იუსტიციის მინისტრი შეარჩევდა და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენდა მთავარი პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა ყოფილიყო. კანდიდატებს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე ცალ-ცალკე ფარული კენჭისყრით ეყრებოდათ კენჭი. არჩეულად კი ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებდა მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. საპროკურორო საბჭოს მიერ შერჩეულ მთავარი პროკურორობის კანდიდატურას იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ წარუდგენდა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა კი ორი კვირის ვადაში თანხმობას აცხადებდა ან/და უარს ამბობდა წარმოდგენილ კანდიდატურაზე. თუ საქართველოს მთავრობა იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ კანდიდატურაზე თანხმობას განაცხადებდა, აღნიშნული კანდიდატურა დაუყოვნებლივ წარედგინებოდა საქართველოს პარლამენტს, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით 6 წლის ვადით ირჩევდა მთავარ პროკურორს.

პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და რეფორმირების ბოლო ეტაპი იყო 2018 წელი, როდესაც პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა განისაზღვრა უკვე საქართველოს კონსტიტუციით, უწყება გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბდა. გაუქმდა იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილება, რომ ყოფილიყო საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე და წევრიც, უკვე გენერალური და არა მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესს გამოეთიშა აღმასრულებელი ხელისუფლება. გამყარდა გენერალური პროკურორის თანამდებობის სტაბილურობა, რადგან მისი ვადაზე ადრე თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საპარლამენტო იმპიჩმენტის გზით, გაუმჯობესდა პროკურატურის თანამშრომლების დანიშვნა-დაწინაურებასთან და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები. პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები:

- ✓ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო;
- ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო;
- ✓ რანგირების საბჭო.

აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სამივე სათათბირო ორგანოს შემადგენლობაში შედის პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული საპროკურორო საბჭოს 8 წევრი და უფრო მეტიც, ისინი გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა უმრავლესობას წარმოადგენენ. აღნიშნულმა რეგულაციამ გაზარდა პროკურატურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული პირების როლი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული სათათბირო ორგანოების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში გენერალური პროკურორის მიერ მათი ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.

რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროკურორო საბჭო კონსტიტუციურ ორგანოდ ჩამოყალიბდა. საპროკურორო საბჭოს 15 წევრიდან – 8 წევრს ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია, 2 წევრს ირჩევს იუსტიციის საბჭო საერთო სასამართლოს მოსამართლეებისგან, 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრებისგან, 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი იურიდიული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისგან და 1 წევრს ირჩევს ასევე საქართველოს პარლამენტი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანდიდატურისგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრებისგან ირჩევს თვითონ საბჭო ორი წლის ვადით. საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას კი წარმოადგენს გენერალური პროკურორობის კანდიდატურის შერჩევა და დამტკიცება, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება, საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების ან/და სახდელის ვადამდე მოხსნის საკითხის გადაწყვეტა, 6 თვეში ერთხელ, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურორის ანგარიშის მოსმენა, ანგარიშში შემავალ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შემწყობი რეკომენდაციების გენერალური პროკურორისათვის წარდგენა.

საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2015 წლის ბოლოს, პროკურატურის რეფორმირების მეორე ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, უწყება განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა და მიზნად დაისახა საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, პროკურორთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის ამაღლება, ადამიანის უფლებების მაქსიმალურად დაცვა, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში ახალი მიდგომების შემუშავება, არსებული საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის და დანაშაულის პრევენციაში საზოგადოების წევრების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

2015 წლის დეკემბრიდან დაიწყო საქართველოს პროკურატურის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი დამტკიცებამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში წინადადებების და მოსაზრებებისთვის წარედგინათ სასამართლო სისტემის, საერთაშორისო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიული ხედვა აგებული იყო სისტემის პროგრესსა და განვითარებაზე. დოკუმენტის მიხედვით, უწყების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებად განსაზღვრული იყო: პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქმიანობის გაძლიერება, ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესება, სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება, საზოგადოების ნდობის ამაღლება, დანაშაულის პრევენცია, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და თანამშრომელთა პროფესიონალიზმის და კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერა თითოეული მიზნისა და ამოცანის შესასრულებლად საჭირო აქტივობები.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და ევროპის საბჭოს ექსპერტები, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და შედეგებზე ორიენტირებული ინტელექტუალური და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს პროკურატურას და სტრატეგიაზე მომუშავე გუნდს.

იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლიდან პროკურატურასთან მიმართებით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, უწყების წინაშე წარმოიშვა ახალი გამოწვევები და მიზნები, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა უკვე 2021-2025 წლების თვისობრივად ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროება.

საქართველოს პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავება დაიწყო 2020 წელს. კერძოდ, 2020 წლის ივლისში შეიქმნა საქართველოს პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა 18 წევრი, საქართველოს პროკურატურის 13 სხვადასხვა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულიდან. ევროკავშირის ინტელექტუალური და ფინანსური მხარდაჭერით სამუშაო ჯგუფმა გაიარა ექვსდღიანი სწავლება „საჯარო პოლიტიკის ანალიზი – პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება“. ტრეინინგის მიზანი იყო, სამუშაო ჯგუფის წევრები გაცნობოდნენ პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების, მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თანამედროვე სტანდარტებსა და მიდგომებს.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ შეიქმნა პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიის პირველადი ვერსია, რომელიც 2021 წლის 1 აპრილს განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს, რომლის უფლებამოსილებაა:

- ✓ პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრა;

- ✓ სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

საბჭოს სხდომას საბჭოს წევრებთან ერთად ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირის მართლმსაჯულების პროექტის და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები საქართველოში. საქართველოს პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიის პროექტი არსებითად შეესაბამება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით განსაზღვრულ დებულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას, ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივის, ასევე SIGMA-ს საჯარო მმართველობის ევროპულ პრინციპებსა და „საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ინსტრუმენტს“. პროკურატურის ახალი სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა, ერთი მხრივ, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების თანამედროვე სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პროკურატურის წინაშე არსებული ახალი, თანამედროვე გამოწვევები.

საქართველოს პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიის პროექტი შედგება ხუთი პრიორიტეტული მიზნისგან:

- ➢ საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- ➢ ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ➢ საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ➢ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სისტემის გაუმჯობესება;
- ➢ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- ✓ საპროკურორო დოკუმენტების დასაბუთებულობისა და გამართულობის ზრდა;
- ✓ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის ზრდა;
- ✓ პროკურორთა სამართლებრივი კვალიფიკაციის უნარის ამაღლება;
- ✓ საპროცესო შეთანხმებების მოქნილობისა და ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხის ზრდა;
- ✓ ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების გაძლიერება.

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- ✓ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, პარალელური ფინანსური გამოძიების გაძლიერების გზით;
- ✓ კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;

- ✓ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა.
- ✓ არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- ✓ სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;

საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- ✓ სამართლებრივი დახმარების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ✓ ექსტრადიციის პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ✓ სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის გაფართოება;
- ✓ დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ✓ ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესება მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- ✓ პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა;
- ✓ პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;
- ✓ თანამშრომელთა შერჩევის და როტაციის პროცესის გაუმჯობესება;
- ✓ პროკურატურის თანამშრომელთა განგრძობადი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა;
- ✓ გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება;
- ✓ მწვანე ოფისის კონცეფციის დანერგვა, ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემცირება.

საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- ✓ საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება;
- ✓ პროკურატურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოზე სხდომის მონაწილეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების და რეკომენდაციების ასახვა სტრატეგიის პროექტში, რის შემდეგაც, საქართველოს პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი გასაცნობად წარედგინებათ საერთაშორისო და არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლებს, შემდეგ კი ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით იქნება დამტკიცებული.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 15 625 პირის მიმართ დაიწყო, 2019 წელს კი - 19 114 პირის მიმართ. ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შემცირდა 18,3%-ით.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2012-2020 წლებში ამგვარია:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 126[1] და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით
(2020 წელი)



2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ისევე როგორც 2018-2019 წლებში, დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლმა. 2018-2019 წლებში კი ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებში მესამე ადგილზე იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით (2019 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით (2018 წელი)



სრულწლოვანთა განრიდება

სრულწლოვანთა განრიდება და მისი გამოყენების პირობები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 2011 წლის 21 ივნისს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის – განრიდების გამოყენება პროკურატურის პრიორიტეტია და აქტიურად გამოიყენება 2012 წლიდან.

2015-2020 წლებში განრიდება ძირითადად გამოყენებულ იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელ, არაძალადობრივ დანაშაულთა ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების გამოყენებისას მხედველობაში მიიღება როგორც დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს. უნდა აღინიშნოს, რომ განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



2020 წელს განრიდდა 984 პირი, საიდანაც 929 (94,4%) პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 55 (5,6%) პირი – მძიმე კატეგორიის დანაშაულზე:

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა[1]:

განრიდებულ პირთა მაჩვენებელი დანაშაულის კატეგორიის მიხედვით (2020 წელი)



ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდების მექანიზმი (2020 წელი)



მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირად შემდეგ მუხლებზე ხდება:

[1] განრიდებულ პირთა რაოდენობა საქართველოს სსკ-ის მუხლების მიხედვით დათვლილია შემდეგი პრინციპით: თუ საქმეში ფიგურირებს ორი და მეტი მუხლი, მაგრამ განსარიდებელი პირი ერთია, მაშინ თითოეულ მუხლზე პირთა რაოდენობა დაფიქსირდება ცალ-ცალკე.

მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდების მექანიზმი (2020 წელი)



აღკვეთის ღონისძიებები

პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნებისთვის შემუშავდა ახალი მეთოდოლოგია, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა 4 სახის მონაცემი: პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც არ იქნა განხილული სასამართლოს მიერ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო, პროკურატურის მიერ განრიდებულ პირთა რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა და პროკურატურის მიერ განრიდებულ პირთა რაოდენობრივი მონაცემები, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა არ ყოფილა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება.

საქართველოს პროკურატურის მიერ 2015-2020 წლებში სულ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებებში საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით დამუშავდა აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული მონაცემები. თავდაპირველად დათვლილ იქნა საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მაჩვენებელი საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი იმ შუამდგომლობებიდან, რომელიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ.

აღნიშნული მონაცემების თანახმად, 2015 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 45.7%-ს; 2016 წელს – 44.2%-ს; 2017 წელს – 44.5%-ს; 2018 წელს –55.2%-ს; 2019 წელს – 63.9%-ს, ხოლო 2020 წელს – 67.8%-ს.



საქართველოს პროკურატურის მიერ დამუშავდა აგრეთვე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები იმ შუამდგომლობების მიხედვით, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროკურორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები დარჩა განუხილველი, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან 2015 წელს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილი იყო ბრალდებულთა 8.1%-ის, 2016 წელს - 5.1%-ის, 2017 წელს 3.5%-ის, 2018 წელს 3.5%-ის, 2019 წელს - 2.9%-ის, ხოლო 2020 წელს - 3.4%-ის მიმართ.



სასამართლოს მიერ განხილულ და საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზეზით განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მაჩვენებელი შემდეგია: 2015 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 37.5%-ს; 2016 წელს – 33%-ს; 2017 წელს – 30.1%-ს; 2018 წელს – 35.7%-ს; 2019 წელს – 39.5%-ს, ხოლო 2020 წელს – 44.9%-ს.



საქართველოს პროკურატურის მიერ ასევე დამუშავდა 2015-2020 წლებში განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლები. კერძოდ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა რაოდენობას დაემატა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, ასევე დაემატა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა განრიდებამდე დაიწყო, თუმცა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურას სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად დგინდება შემდეგი: 2015 წელს პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 33.7%-ს; 2016 წელს – 29%-ს; 2017 წელს – 26%-ს; 2018 წელს – 31.4%-ს; 2019 წელს – 35.3%-ს, ხოლო 2020 წელს – 40.9%-ს.



საქართველოს პროკურატურაში დამუშავდა ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები, როგორც სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების, აგრეთვე იმ შუამდგომლობების მიხედვით, რომლებშიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, განუხილველი დარჩა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა.



როგორც ჩანს, 2014 წლიდან ოჯახურ დანაშაულებზე მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სხვა დანაშაულებზე კი 2014-2018 წლებში კლების, ხოლო 2018-2020 წლებში მცირე ზრდის ტენდენცია გამოვლინდა:





ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2019-2020 წლებში პატიმრობის მაჩვენებლის ზრდა ძირითადად განპირობებულია ოჯახურ დანაშაულებზე მოთხოვნილი პატიმრობის პროცენტული ზრდით.

რაც შეეხება, პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს,



რაც შეეხება მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს


მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი
დაკმაყოფილდა
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სხვა სახე)
არ დაკმაყოფილდა (დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე)
2010 წელი (სულ 8188)
99.0%
1.0%
0.01%
2011 წელი (სულ 6564)
99.9%
0.1%
0.0%
2012 წელი (სულ 3942)
96.9%
3.0%
0.1%
2013 წელი (სულ 4751)
71.8%
26.4%
1.8%
2014 წელი (სულ 6608)
66.1%
31.2%
2.8%
2015 წელი (სულ 5906)
62.3%
36.2%
1.5%
2016 წელი (სულ 4818)
64.0%
34.9%
1.1%
2017 წელი (სულ 4319)
75.2%
24.1%
0.7%
2018 წელი (სულ 5570)
77.3%
22.4%
0.2%
2019 წელი (სულ 7134)
73.0%
26.6%
0.4%
2020 წელი (სულ 6549)
68.3%
31.1%
0.6%

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 2020 წელს განაჩენი გამოიტანეს 13 099 პირის მიმართ.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



2020 წელს სულ 13 099 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 63,5% დასრულებულია საპროცესო შეთანხმებით.



2020 წელს, წინა წლების მსგავსად, გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. საპროცესო შეთანხმების ადრეულ ეტაპზევე გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაზარალებული აღარ არის ვალდებული გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ჩვენების მიცემისას კიდევ ერთხელ განიცადოს დანაშაულის შედეგად მიღებული სტრესი.



2020 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 8,6%-ის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 4.1%-ის მიმართ – ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. 2020 წლის არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკური მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შემცირდა როგორც სრულად გამამართლებელი, ასევე ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი.



საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელმა 2020 წელს შეადგინა 48,3%.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობას, მონაცემები წლების მიხედვით ეროვნულ ვალუტაში ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა ლარში



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი, 2018-2019 წლებთან შედარებით, 2020 წელს გაიზარდა და შეადგინა 18,2%.

საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი



საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა 2020 წელს გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 18,1%-ის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ძალადობრივი დანაშაულების მიმართ.



2020 წელს ყაჩაღობის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 96%-ს (სულ ყაჩაღობის მუხლით მსჯავრდებულია 68 პირი, მათგან თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია 65 მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო დანარჩენი 3 პირის მიმართ კი სასამართლოს მიერ განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად გამოყენებულია პირობითი მსჯავრი, სამივე პირი არასრულწლოვანია).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უკანასკნელი წლების განმავლობაში უწყებამ არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებსა და მათს კეთილდღეობაზე ორიენტირებული, ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის დანერგვის მიზნით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული ერთ-ერთი მთავარი მიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენებაა. ამ მიმართულებით განხორციელებულმა რეფორმებმა გაზარდა არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი, რაც არასრულწლოვნის საჭიროებებზე ორიენტირებას და პროცესში დაზარალებულის აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს.

არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის დღევანდელ შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ის რეფორმები, რომლებიც პროგრამის სრულყოფის მიზნით ბოლო წლებში საქართველოს პროკურატურის აქტიური ჩართულობით განხორციელდა.

არასრულწლოვანთა განრიდების მექანიზმი პირველად 2010 წელს ამოქმედდა, თუმცა 2013 წლამდე პროგრამა საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებდა. 2013 წლის აპრილში პროგრამა ამოქმედდა 25 ქალაქში, ხოლო იმავე წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა. 2014 წლიდან განრიდების გამოყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთან ერთად შესაძლებელი გახდა მძიმე კატეგორიის დანაშაულზეც.

პრაქტიკის სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების შედეგად პროკურატურის ჩართულობით შემუშავებულ იქნა ცვლილებები და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებით უფრო დეტალურად გაიწერა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროცედურები და განრიდების პროცესში მონაწილე პირების მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ვადები. გაიზარდა მედიატორის როლი დაზარალებულთან კომუნიკაციაში განრიდების პროცესის დაწყების ეტაპზევე, დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ფორმები, რომელიც დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის არასრულწლოვნის მონაცემების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მხარეთა უფლება-მოვალეობების, განრიდების პირობების, მოქმედების ვადისა და ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. 2016 წელს კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განრიდება-მედიაციის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა პირთა წრის მიხედვით და გარდა არასრულწლოვნებისა, პროგრამაში 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების ჩართვაც შესაძლებელი გახდა.

მნიშვნელოვანია, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაუმჯობესებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროცედურების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხი, არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებშია უკვე უზრუნველყოფილი.

2010-2020 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 4962 პირია განრიდებული, საიდანაც 3208 არასრულწლოვანია, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი არის 1754.

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 298 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 236 პირის მიმართ.

21 წლამდე პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



2016 წლიდან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა რაოდენობა ბევრად აღემატება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე განრიდების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო. 2016-2017 წლებში დანაშაულის ჩადენაში მხილებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი იქნა განრიდებული, ხოლო 2018 წელს ეს მონაცემი 59%-ს შეადგენდა.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 5%-ით იყო შემცირებული არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით, რაც არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ზრდით გახლდათ განპირობებული. 2017 წელს განრიდებულ და დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 746-ს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს – 848-ს.

რაც შეეხება 2019 წელს, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით განრიდების პროცენტული მაჩვენებელი 57%-ს წარმოადგენდა. 2020 წელს კი ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო მაჩვენებელი იყო 556, საიდანაც განრიდებულია 298 (54%), ხოლო ბრალდებულია 258 (46%) არასრულწლოვანი.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განრიდების მაჩვენებელი



2020 წელს არასრულწლოვანთა ბრალდების შედარებით მაღალი მაჩვენებელი განრიდებასთან მიმართებით COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებით იყო განპირობებული. საქართველოს პროკურატურის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებით შემოღებულ იქნა განსაკუთრებული ღონისძიებები, რომელთა თანახმადაც, ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის არსებობის პერიოდით შეჩერდა განრიდება-მედიაციის პროგრამა, გარდა იმ სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებზეც იწურებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. მიუხედავად აღნიშნულისა, განსაკუთრებული ღონისძიების მოქმედების ფარგლებშიც კი, შესაძლებელი გახდა 298 არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა.

2020 წელს კვლავ დაბალი იყო განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა დაიწყო მხოლოდ 30 არასრულწლოვნის მიმართ.

2019-2020 წლებში, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია მძიმე დანაშაულებზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი. 2017 წელს, სულ განრიდებული 475 არასრულწლოვანი პირიდან, მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო განრიდება გამოყენებული იყო 220 პირის მიმართ, რაც განრიდებული არასრულწლოვნების 46%-ს წარმოადგენდა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 497 არასრულწლოვნიდან 199-ს წარმოადგენდა, რაც განრიდებულ

არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 40% იყო. 2019 წელს სულ განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 197 არასრულწლოვანს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 45% იყო. 2020 წელს კი განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 121-ს, რაც საერთო რაოდენობის 41%-ს წარმოადგენს.

2020 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, განრიდება უმეტესად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. 298 განრიდებული არასრულწლოვნიდან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 188 პირს (63%).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს გენერალური პროკურატურა ახორციელებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მუდმივ მონიტორინგს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და მათზე დროული რეაგირების მიზნით საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისთანავე დანერგა ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის საქმეების დოკუმენტურ მონიტორინგს გამოძიების დაწყების ეტაპიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 2018 წელს პროკურატურამ არსებული მონიტორინგის მექანიზმი გაეროს ბავშვთა ფონდისა და ადგილობრივი ექსპერტის მონაწილეობით განაახლა და 2019 წლიდან განახლებული მონიტორინგის ფორმა დანერგა.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას დროულად იღებენ, დაბალია სასამართლოდან საქმეების განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი. კერძოდ, 2020 წელს განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 27 შემთხვევაში დაბრუნდა.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელია. 2020 წლის მონაცემების მიხედვით კი განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 6-მა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული (2%).

განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან ახორციელებს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშულის კვლევას 3-წლიანი პერიოდულობით. 2016 წელს განხორციელდა რეციდივის პირველი კვლევა 2010-2015 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ.

2019 წელს კი საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა. კვლევის შედეგების მიხედვით, რეციდივის მაჩვენებელი ასეთია: 2010-2018 წლებში

განრიდებული 2473 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 328 პირს (13%), მათ შორის:



განრიდების პროგრამის შეფასების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, რეციდივის განსაზღვრის ნიშნულად აღებულ იქნა განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი ხელშეკრულების დასრულებიდან 3 წლის ვადაში.

2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 1, 2 და 3 წლის განმავლობაში შემდეგია:

- ✓ 4%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 112-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველი 1 წლის განმავლობაში;
- ✓ 7%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 178-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველი 2 წლის განმავლობაში;
- ✓ 9%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 223-მა) განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში.

აღნიშნული მონაცემების თანახმად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არის 9%, საერთაშორისო ექსპერტთა მიერ კი აღინიშნა, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში განრიდებულ არასრულწლოვანთა რეციდივის 20%-იანი მაჩვენებელი ფიქსირდება შესაბამისად, საქართველოს მონაცემები დადებითად შეფასდა.

პროკურატურა რეციდივის მაჩვენებლის კვლევას გააგრძელებს 3-წლიანი პერიოდულობით.

2020 წელს, 2016-2019 წლებთან შედარებით, მცირედით გაზრდილია პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსთვის წარდგენილი შუამდგომლობების მაჩვენებელი.



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წელს 13,9% შეადგინა.



რაც შეეხება განაჩენებს, 2020 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 195 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილ იქნა განაჩენი



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით ასე გადანაწილდა:

არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები



როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2014-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეებთან შედარებით. 2019 წელს პირიქით, არსებითი განხილვით დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი აღემატებოდა საპროცესო შეთანხმების პროცენტულ მაჩვენებელს. რაც შეეხება 2020 წელს, საპროცესო შეთანხმების პროცენტული მაჩვენებელი კვლავ აღემატება არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეებს.

საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლდა 10, 2016 წელს - 6, 2017 წელს - 3, 2018 წელს - 9, 2019 წელს - 10 არასრულწლოვანი, ხოლო 2020 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ გამოტანილა.

2016-2019 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების პირობად ნაკლებად იქნა გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 17%, 2015 წელს - 9%, 2016 წელს - 3,6%, 2017 წელს - 3.2%, 2018 წელს - 2,4%, 2019 წელს - 3%, ხოლო 2020 წელს - 5.4%.

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



2020 წლის დასაწყისში საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე განახორციელა მნიშვნელოვანი კვლევები და გამოაქვეყნა განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები. ასევე, განხორციელდა განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, რომელიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას მოიცავს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის, ხარვეზების გამოსწორების და უწყებათაშორის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ რეგიონულ დონეზე შექმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული არიან საერთო სასამართლოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების სამინისტროების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოების სახით, საქართველოს პროკურატურის

ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, 2016 წელს საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა. პროკურატურის მიერ შემუშავებულ იქნა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის დებულება, რომელიც 2016 წელსვე დამტკიცდა საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

2020 წლის განმავლობაში რვა რეგიონში გაიმართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრები. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილობრივმა საბჭოებმა ონლაინ სივრცეში იმუშავეს. მულტიდისციპლინური ჯგუფების ყველა შეხვედრას ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი. რეგიონულ დონეზე არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომებზე განხილულ საკითხებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით 2020 წლის 30 სექტემბერს გენერალური პროკურატურის ინიციატივით გაიმართა შესაბამისი უწყებების ცენტრალური აპარატის წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც მოწვეულ სტუმრებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით პროკურატურის საქმიანობის 6 თვის შედეგების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების სისტემის მონაწილე უწყებაა. რეფერირების მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საქართველო გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №52-გ ბრძანებით დამტკიცდა „რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია.“ 2020 წლის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი 36 არასრულწლოვანი იქნა გადამისამართებული.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმშიც. 2020 წლის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 31 არასრულწლოვანი, საიდანაც 17 არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა ფსიქოლოგიური ძალადობის, ხოლო 9 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური ძალადობის ნიშნები, 2 არასრულწლოვნის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, 2 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა, ხოლო 1 შემთხვევაში იკვეთებოდა სექსუალური ძალადობა.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა მიმართ, გარდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში აქტიური ჩართულობისა, პროკურატურა მუდმივად ზრუნავს ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის ამაღლებაზე.

პროკურორებისთვის 2020 წელს შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ," რომელშიც ყურადღება იქნა გამახვილებული არასრულწლოვან დაზარალებულთა მიმართ გასათვალისწინებელ განსაკუთრებულ გარემოებებზე. აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებში განისაზღვრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა ჩართულობის სავალდებულოობაც.

საქართველოს პროკურატურის წარმატება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად ასევე განაპირობა ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციის სტანდარტის უზრუნველყოფამ. 2015 წლის ბოლოს პროკურატურას უკვე ჰყავდა სათანადოდ მომზადებული და საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით სპეციალიზებული 139 პროკურორი, რომლებმაც გადამზადება საერთაშორისო სტანდარტებში, არასრულწლოვანთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში გაიარეს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორთა სპეციალიზაციას აქვს მუდმივი და განგრძობადი ხასიათი. დღეის მდგომარეობით პროკურატურას ჰყავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული 93 მენეჯერი, 172 პროკურორი, 24 გამომძიებელი და 15 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს პროკურატურამ თბილისის პროკურატურასა და თბილისის რაიონულ პროკურატურებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროკურორების ვიწრო სპეციალიზაციის დანერგვა უზრუნველყო და 2020 წლის 25 ივნისიდან თბილისის პროკურატურასა და თბილისის რაიონული პროკურატურების სპეციალიზებული პროკურორები მხოლოდ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებენ საპროცესო ხელმძღვანელობას. ბრძანებით გამოიყო თითო პროკურორი, რომლებიც ეტაპობრივად გათავისუფლდებიან სხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისგან. შესაბამისად, ისინი საპროკურორო ხელმძღვანელობას განახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილ სისხლის სამართლის საქმეებზე.

პროკურატურა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფისთვის აგრძელებს აქტიურ მუშაობას. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე მუშაობა პროკურატურამ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2017 წელს დაიწყო, ხოლო მისი დანერგვა 2018 წელს მოხდა ჯერ რუსთავის, ხოლო 2019 წელს – ხელვაჩურის რაიონულ პროკურატურაში. ბავშვზე მორგებული სივრცის ეფექტიანი გამოყენების მიზნით გენერალური პროკურატურის მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი ინსტრუქცია ბავშვზე მორგებულ სივრცეში არასრულწლოვანის გამოკითხვის, გასაუბრების, ასევე გამოკითხვის მიმდინარეობისა და შედეგების აუდიო-ვიდეო საშუალებებით ფიქსაციის წესის შესახებ. იგეგმება ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის ეტაპობრივი გაფართოება და ყოველწლიურად ერთ სტრუქტურულ ერთეულში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების

განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ, 2017 წელს გამოძიება დაიწყო 724, 2018 წელს – 903, 2019 წელს – 655, ხოლო 2020 წელს – 331 სისხლის სამართლის საქმეზე.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



ისევე, როგორც წინა წლებში, 2020 წელსაც გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 180-ე (თაღლითობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 126-ე, 126[1] (ძალადობა და ოჯახში ძალადობა) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით.

2018-2020 წლებში გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 185, 2018 წელს – 139, 2019 წელს – 169, ხოლო 2020 წელს – 179 პირის მიმართ.

2017-2020 წლებში დევნის დაწყების მაჩვენებელი



2020 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) მუხლებით.

2018-2020 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის მუხლობრივი მაჩვენებელი



2020 წელს ბრალდებული 179 პირიდან 71 (39.66%) დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. 2020 წელს, წინა წლების მსგავსად, ბრალდებულ საჯარო მოხელეთაგან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ პოლიციელები.

მოხელეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობრივი მაჩვენებელი



განაჩენები

2017 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილიქნა 167, ხოლო გამამართლებელი – 13 პირის მიმართ. 2018 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 190, ხოლო გამამართლებელი – 11 პირის მიმართ. 2019 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 185, ხოლო გამამართლებელი – 15 პირის მიმართ. 2020 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 148, ხოლო გამამართლებელი – 19 პირის მიმართ.



ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გამოძიების პროცესში (პროგრამა - IBM I2)

თანამედროვე გამოწვევების ფონზე, როდესაც კომპლექსური სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას სულ უფრო ხშირად ვხვდებით მოცულობითი ელექტრონული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და ანალიზის აუცილებლობას, საქართველოს პროკურატურამ გამოძიების პროცესში დაიწყო ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

კერძოდ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და იუსტიციის დეპარტამენტის ინტელექტუალური და ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურაში დაინერგა IBM I2 ანალიზის პროგრამა.

IBM I2 წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება დანაშაულის პრევენციის და დროულად გამოძიებისთვის. აღნიშნული პროგრამა შექმნილია NATO-ს წევრი ქვეყნების ხელშეწყობით და აქტიურად გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ფულის გათეთრების, კიბერდანაშაულის, თაღლითობის და სხვა კომპლექსური ხასიათის დანაშაულის გამოძიების პროცესში.

IBM I2 პროგრამა მომხმარებელს აძლევს განსხვავებული ფორმატის, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული საბანკო და სატელეფონო კომუნიკაციის ამონაწერების და სხვა ინფორმაციის პროგრამაში ინტეგრაციის შესაძლებლობას. პროგრამა ახდენს მონაცემების ანალიზს, დახარისხებას, სტრუქტურიზაციას და ავტომატიზაციის საშუალებით, დროის მცირე მონაკვეთში, დამუშავებული, მშრალი მონაცემების ვიზუალიზაციით ორ ან რამდენიმე ქსელს შორის კავშირის გამოვლენას, შაბლონური ქცევების, ლატენტური საფრთხეების აღმოჩენას და დანაშაულებრივი ქმედებების მიდევნებას. სისტემაში მონაცემების მიღება-დამუშავება შესაძლებელია რეალურ დროშიც.

IBM I2 ასევე გააჩნია ინოვაციური ფუნქცია, როგორიცაა სოციალური ქსელის მონაცემების ზედდება სხვა საგამოძიებო მასალებზე.

IBM I2 პროგრამული უზრუნველყოფა პროკურორებს და გამომძიებლებს ეხმარება გამოძიების მიმდინარეობისას გადაწყვეტილებების მიღებაში და იძლევა დროის მცირე პერიოდში ეფექტიანი შედეგის დადგომის შესაძლებლობას

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

საქართველოს პროკურატურის და საქართველოს მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად 2015 წლის დასაწყისში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და სამართლიანობის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით პროკურატურის სისტემაში 2015 წლის 13 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად იძიებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სამართალწარმოების პროცესში მოქალაქეთათვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევის, ცემა-წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს.

ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების, მოპოვებული მტკიცებულებების, გამოვლენილი დანაშაულების ხასიათის, ხერხის და სამართალდამცავებში დამკვიდრებული იმდროინდელი პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ მივდივართ დასკვნამდე, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევას და დათმობას ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი, სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლები მოქმედებდნენ საერთო ხელწერით და მაღალი თანამდებობის პირების დავალებით.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2020 წლებში გამოვლენილ იქნა მოქალაქეებისათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 178 ფაქტი, მხილებულ იქნა 51 საჯარო მოხელე, რომელთაგან:

- ✓ 33 პირის მიმართ, გამოძიებასთან მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებულ იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება;
- ✓ 6 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო;
- ✓ 12 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, 11 პირის მიმართ დადგენილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნიდან 2020 წლის პერიოდში დაზარალებულად იქნა ცნობილი 392 პირი, რომელთაგან 293 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 54 500 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, მათ შორის:

- ✓ 138 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 22 122 942 მ^2;
- ✓ 6 საცხოვრებელი ბინა;
- ✓ 2 აგარაკი;
- ✓ საოფისე და კომერციული ფართები;

- ✓ სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ✓ ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- ✓ გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები;
- ✓ შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- ✓ 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- ✓ 80 ერთეული ავტომანქანა;
- ✓ ოქროს ნაკეთობები;
- ✓ ფიროსმანის ფერწერული ტილო;
- ✓ ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ შექმნა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის ეფექტიანი და სამართლებრივად სწორი მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2016-2020 წლების მონაცემებით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 87 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 18 პირი იყო პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მქონე. 77 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენი მსჯავრდებულების მიმართ გრძელდება საქმის განხილვა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემოსულია არაერთი განცხადება, რომელიც სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხს შეეხება. ვინაიდან პროკურატურის კომპეტენციაში არ შედის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით მიღებული გადაწყვეტილების რევიზია, გაუქმება ან შეცვლა და ამავდროულად, ხშირ შემთხვევებში, გასულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები, ვერ ხერხდება აღნიშნული მოქალაქეების ინტერესების დაკმაყოფილება. შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურა გეგმავს საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით საკანონმდებლო ორგანოსთან მუშაობის დაწყებას, რათა მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, პროკურატურის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართონ სასამართლოს, მოითხოვონ საქმის ხელახალი განხილვა და უკანონო გზით საკუთრებიდან გასული ქონების დაბრუნება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები

2006-2020 წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (განჩინებების და გადაწყვეტილებების სახით) საქართველოს პროკურატურას ღონისძიებების გატარება 50 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მიზნით დაევალა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელთა აღსასრულებლად საქართველოს პროკურატურას დაევალა ღონისძიებების გატარება



2006-2020 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით გამოძიება წარმოებულ იქნა სულ 41 სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს პროკურატურაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მოცემულ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს სულ 34 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის მოიაზრება ყველაზე პრობლემური და რთული კატეგორიის ე.წ. „ცინცაბაძის ჯგუფის“[2] საქმეები.

[2] ,,ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები აერთიანებს 2012 წლამდე ჩადენილ, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ, ძალადობრივ დანაშაულებზე მიღებულ 11 განჩინებასა და 6 გადაწყვეტილებას, მათ შორის ძირითადად დადგენილ იქნა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების არსებითი და პროცედურული ნაწილის დარღვევები. 2017 წლის 19-21 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე „ღარიბაშვილის ჯგუფიდან“ დაიხურა საქმე - „ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის შემდგომაც ამავე ჯგუფს ეწოდება „ცინცაბაძის ჯგუფი“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოძიების განახლების/დაწყების მაჩვენებელი 2005-2020წ.

2020 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩნებების აღსრულების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 4 პირის მიმართ. მთლიანობაში 2006-2020 წლებში სულ დევნა დაიწყო 34 პირის მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი



2020 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 3 პირის მიმართ.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2014-2020 წლებში გადაისინჯა ეროვნული სასამართლოების მიერ სხვადასხვა საქმეზე 11 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენები, მათ შორის - 4 პირის მიმართ ძალაში დარჩა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 7 პირის მიმართ გადაისინჯა მათ მიმართ წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსში 2012 წლის 12 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად განისაზღვრა პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა მუხლში ჩამოყალიბდა ოჯახური დანაშაულის ცნება და კოდექსს დამოუკიდებელ მუხლად დაემატა ოჯახში ძალადობა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შედეგად ოჯახში ძალადობის, როგორც საზოგადოებაში ღრმად ფესვგამდგარი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის და სამართალდამცავი სისტემის, მათ შორის პროკურატურისთვის, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. ამ გამოწვევასთან ბრძოლის ფარგლებში საქართველოს პროკურატურას უნდა განეხორციელებინა სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა დაზარალებულის ინტერესების დაცვაზე.

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ამ დანაშაულის ლატენტური ხასიათი, ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის და თანამშრომლობის დაბალი მაჩვენებელი. ერთი მხრივ, პროკურატურის მიზანი იყო სწორი და ეფექტიანი მუშაობის შედეგად დანაშაულის გავრცელების მასშტაბების გამოვლენა, დაზარალებულთა მხრიდან სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის და მომართვიანობის გაზრდა, დაზარალებულის დაცვა მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან, დაზარალებულისთვის სწორი და დროული მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება და დაზარალებულის მიმართ სენსიტიური მიდგომების გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ, დამნაშავის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების გზით როგორც კერძო, ისე ზოგადი პრევენციული შედეგების მიღწევა.

საქართველოს პროკურატურის შესაბამისი დანაყოფები 2014 წლიდან მუდმივად ახორციელებდნენ ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ატარებდნენ ყოველწლიურ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მუშავდებოდა სტატისტიკური მონაცემები, იდენტიფიცირდებოდა გამოძიების და საპროკურორო საქმიანობის პროცესში არსებული ხარვეზები, იქმნებოდა სახელმძღვანელო მითითებები, ანალიზდებოდა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები და განაჩენები, ანალიზის შედეგები მიეწოდებოდათ პროკურორებს. ასევე ხორციელდებოდა სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგი.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან, პარტნიორ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურაში თითქმის ყოველწლიურად იმართებოდა კონფერენცია ოჯახში ძალადობის თემაზე. კონფერენციებზე მონაწილეებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების შესახებ. მიმდინარეობდა მსჯელობა არსებული სირთულეების დაძლევის და პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, რასაც პროკურატურა შემდგომ საქმიანობაში ითვალისწინებდა.

სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის გაზრდის და თანამშრომლობის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო როგორც დაზარალებულის, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობა ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობის მასშტაბების, ძალადობის შედეგების, დაცვისა და დახმარების მექანიზმების, სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების შესახებ. ოჯახური დანაშაულის პრევენციის და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში პროკურორების მონაწილეობით 2014-2020 წლებში ჩატარდა ათასობით ღონისძიება. პროკურორებმა შეხვედრები გამართეს მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და მოსახლეობასთან, რომლებსაც გააცნეს ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები და მიაწოდეს ინფორმაცია დანაშაულის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. მთელი რიგი ღონისძიებები ტარდებოდა ასევე პროექტ „ადგილობრივი საბჭოს“ ფარგლებში. ადგილობრივი საბჭოს სხდომებზე მონაწილეობას იღებდნენ შესაბამისი რაიონის ადგილობრივი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს პროკურატურა წლების განმავლობაში ატარებდა დაზარალებულის ინტერესების დაცვასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებულ მკაცრს სისხლის სამართლის პოლიტიკას. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არ ხდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება, ასევე, პროკურატურამ უარი თქვა ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ საპროცესო შეთანხმების გამოყენებაზე.

პროკურატურამ აქტიურად დაიწყო საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა – ზრუნვა პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროკურორთა სენსიტიურობის გაძლიერებაზე. 2016 წელს (სპეციალიზაციის განხორციელებამდე) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართულებით მომუშავე პროკურორთა ჯგუფმა ინტენსიური სასწავლო კურსი გაიარა, რამაც ხელი შეუწყო როგორც კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე პროფესიონალებში მგრძნობელობის გაზრდას. 2017 წელს ასევე აქტიურად მიმდინარეობდა პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება ოჯახური დანაშაულის საკითხზე.

2016-2017 წლებში, ევროპის საბჭოს რეგიონული პროექტის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადდა სახელმძღვანელო თემაზე – ,,ქალთა უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. პროექტის მნიშვნელობას ზრდიდა ის ფაქტი, რომ მასში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ერთობლივი მუშაობის ფორმატში ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. აღნიშნული სახელმძღვანელოს საფუძველზე შემუშავდა სასწავლო პროგრამა, რომლითაც განხორციელდა პროკურორთა გადამზადება.

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტად განისაზღვრა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წლის იანვარში დამტკიცდა. ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება; პროკურორთა და პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა. პროკურატურამ აქტიურად იმუშავა სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად.

შემუშავდა და შემდგომ განახლდა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ“, რომლის მიზანია ძალადობის ფაქტების სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა.

გასულ წლებში ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობდა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women). აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სპეციალიზებული პროკურორების, პროკურატურის გამომძიებლების და კოორდინატორების, აგრეთვე იმ ფონდებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას ან/და თავშესაფარს სთავაზობენ. მულტისექტორული შეხვედრების მიზანი იყო პროკურატურასა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხელშეწყობა. მულტისექტორული შეხვედრები წარმოადგენდა ერთგვარ პლატფორმას არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. პროკურატურის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში არსებული იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც დაზარალებულთა სრულყოფილად ინფორმირებისა და დახმარების პროცესში იყენებენ. შეხვედრებმა ხელი შეუწყო პროკურატურის წარმომადგენლებისა და სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას, მათი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, სამუშაო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას.

პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობდა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ ძირითად აქტორებთან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სასამართლოსთან. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პროკურორების, მოსამართლეების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრები გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე – ნორმის განმარტება, მტკიცებულებათა სტანდარტი, საკანონმდებლო ხარვეზები და ა. შ. ერთობლივი დისკუსიები წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ეფექტიანი სამართალწარმოების მიზნით პროფესიონალებს შორის სხვადასხვა პროცესუალურ თუ მატერიალურ სამართლებრივ საკითხზე ერთგვაროვანი ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

გასული წლების განმავლობაში პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით როგორც ადმინისტრაციულსამართლებრივი, ასევე სისხლისსამართლებრივი მექანიზმების დახვეწის პროცესში. ამ მიზნით პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობდა როგორც შინაგანს საქმეთა სამინისტროსთან, ასევე იუსტიციის სამინისტროსთან, პარლამენტთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

განხორციელებული ღონისძიებების და პროკურატურის მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მომართვიანობის, აღნიშნული დანაშაულის გამოვლენისა და მასზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.

2018-2020 წლებში ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ფაქტობრივად გაორმაგდა. 2020 წელს ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4633 პირის მიმართ. რაც შეეხება წლების მიხედვით დინამიკას: 2014 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო – 550, 2015 წელს – 1066, 2016 წელს – 1356, 2017 წელს – 1986, 2018 წელს – 3955, 2019 წელს – 4579 პირის მიმართ.

ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



როგორც ვხედავთ, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 99%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია 15,8%-ით. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მონაცემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

2020 წელს ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დევნის დაწყების საერთო მაჩვენებლის ¼-ს შეადგენს.

გაზრდილია პროკურორთა მიერ ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. 2020 წელს სასამართლოში წარდგენილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობებიდან 94% იყო პატიმრობის მოთხოვნა.

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი



ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ 2020 წელს დაკმაყოფილდა 53%, რაც, 2019 წლის მონაცემთან შედარებით (56 %), მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი



როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს პროკურატურაში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია 2016 წლიდან დაინერგა, 2018 წლის 20 თებერვალს კი საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] (ოჯახში ძალადობა) და 11[1] (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე განისაზღვრა სპეციალიზებულ პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა ჩართვის სავალდებულოობა.

დღეისათვის, პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები და პროკურატურის

გამომძიებლები, რომლებმაც ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

პროკურატურისთვის პრიორიტეტია პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება განგრძობადი განათლების გზით. 2021 წელს იგეგმება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადების მეორე ეტაპი ოჯახური დანაშაულის თემაზე.

2020 წელს განხორციელდა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გამოძიების დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას, საჭირო საგამოძიებო მოქმედებების დროულად ჩატარებას, გამოძიების ხარისხს, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების დროულად გამოტანას, სისტემატური ძალადობის გამოკვეთასა და დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობას, მაკვალიფიცირებელი გარემოებების დადგენას, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას. სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში, ამ კატეგორიის საქმეებზე ასევე ფასდება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების და საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხი.

2019 წელს საქართველოს პროკურატურაში მომზადდა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე“. რეკომენდაციის საფუძველზე პროკურატურა 2020 წლის განმავლობაში მონიტორინგს უწევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომელთა მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემას და გამოძიების დაწყების შესახებ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. 2020 წელს განხორციელდა პროკურატურის დანაყოფებიდან მოწოდებული მონაცემების ანალიზი. შესწავლილ იქნა ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც ორდერების მონიტორინგის საფუძველზე პროკურორის მითითებით დაიწყო გამოძიება.

ერთგვაროვანი პოლიტიკის გატარების მიზნით 2019 წლის ივნისში პროკურატურამ შეიმუშავა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელშიც დეტალურად გაიწერა აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინა პირობები. 2020 წლის განმავლობაში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებდა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს, რათა საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციაში განხორციელდეს სათანადო ცვლილებები.

ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით შესწავლილ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებები - განაჩენები და განჩინებები. გაანალიზდა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და სასჯელების დანიშვნის პრაქტიკა. ანალიზის მიზანი იყო, ზუსტად განსაზღვრულიყო ის გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო მკაცრი თუ ლმობიერი სასჯელებისა და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას. მიმდინარეობს მუშაობა ზემოაღნიშნული რეკომენდაციის

განახლებაზე, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ოჯახური დანაშაულების საქმეებზე სწორი და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2020 წელს საქართველოს პროკურატურაში დაიგეგმა „მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის კვლევა“. აღნიშნული კვლევა შეისწავლის სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით გატარებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას. შეფასდება, თუ რამდენად მიიღწევა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკით, ხომ არ არის საჭირო მისი შეცვლა; რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია არსებულ მიდგომას როგორც შედეგების, ასევე დახარჯული რესურსის (მატერიალური და ფიზიკური) გათვალისწინებით; წარმოადგენს თუ არა მოძალადის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, დაპატიმრება ანდა მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ძალადობის შემცირების ქმედით მექანიზმს; არის თუ არა სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართული მოძალადის დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლისაკენ, ემსახურება თუ არა იგი მსხვერპლის დაცვას და რამდენად არის მიღწეული ეს მიზნები.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების დასახვისთვის. კვლევისას, სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად, გამოიკვეთება ის გარემოებები, რაც იწვევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მიერ მათივე ოჯახის წევრი მოძალადის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემაზე ანდა სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე უარის თქმას და რამდენად ეფექტიანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული პრევენციის მექანიზმები.

2020 წლის 4 დეკემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულების ტენდენციების, მიღწევების და გამოწვევების შესახებ ონლაინ შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრას სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ონლაინ შეხვედრაზე პროკურატურამ ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციების, მიღწევებისა და გამოწვევების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის შესახებ ანგარიში წარადგინა.

სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვის, მათი მხარდაჭერის, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, გაიზარდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციები. კოორდინატორი უკვე წარმოადგენს პროცესის მონაწილეს.

2020 წელს საქართველოს პროკურატურაში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ქალებისათვის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე მენტორინგის პროგრამა განხორციელდა. პროგრამის დანერგვას წინ უძღოდა მენტორინგის სახელმძღვანელოს შექმნა და აღნიშნულ თემაზე განხორციელებული ტრენერთა ტრენინგი უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ

ბუდაპეშტში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა). სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და მასში ჩართულნი იყვნენ მოსამართლეები და პროკურორები. ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 2 წარმომადგენელი, რომლებმაც მენტორობა გაუწიეს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართულებით სპეციალიზებულ 6 პროკურორს. მენტორინგის პროგრამა 8 თვის განმავლობაში გაგრძელდა და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები მოიცვა, როგორებიცაა: გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების განხორციელება, ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირება, ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება და სხვა.

2020 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის რიგით მეოთხე სასწავლო კურსი განხორციელდა. სამთვიანი სწავლება 20-მა სპეციალიზებულმა პროკურორმა გაიარა. თეორიულ საკითხებთან ერთად სასწავლო კურსი დატვირთული იყო პრაქტიკული დავალებებით და მოიცვა როგორც საერთაშორისო, ასევე ევროპული სამართლებრივი ჩარჩო და პრეცედენტული სამართალი.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს პროკურატურაში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია დაინერგა და 2021 წლის 10 აპრილიდან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებას განახორციელებენ მხოლოდ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

სპეციალიზაციის სასწავლო კურსი 2 კვირის განმავლობაში სამმა ჯგუფმა გაიარა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სპეციალიზაცია 50 პროკურორს და 9 გამომძიებელს მიენიჭა.

სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამა მოიცავდა მონაწილეებისთვის ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული სიახლეების, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაცნობას.

სწავლების ფარგლებში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ✓ სქესობრივ დანაშაულებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები სქესობრივ დანაშაულებზე;
- ✓ სქესობრივ დანაშაულთა განმარტება და სქესობრივი დანაშაულების ურთიერთგამიჯვნის საკითხები;
- ✓ გამოძიების და დევნის პრობლემური საკითხები;
- ✓ დაზარალებულად ცნობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მტკიცებულებითი სტანდარტები;
- ✓ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სტანდარტები;
- ✓ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები და სხვა.

სწავლების ფარგლებში ფართოდ იქნა განხილული არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების სამართალწარმოების სპეციფიკური საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ასევე დაზარალებულთან, მათ შორის, განსაკუთრებით არასრულწლოვან მსხვერპლთან ურთიერთობის თავისებურებებს, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

გარდა აღნიშნულისა, სპეციალიზაციის დანერგვამდე საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი და სწორი მიდგომების დანერგვას როგორც საპროცესო ხელმძღვანელობის, ასევე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიმართულებით. რეკომენდაცია შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა აღნიშნული კატეგორიის საქმეებში, დაზარალებულად ცნობის სტანდარტი, დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომები, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სტანდარტები, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მტკიცებულებითი სტანდარტი, საქმის სასამართლოში განხილვა.

რეკომენდაცია მოიცავს აგრეთვე მითითებებს არასრულწლოვანთა მიმართ გასათვალისწინებელ განსაკუთრებულ გარემოებებთან დაკავშირებით, როგორიც არის რეფერირება, არასრულწლოვნის საქმეში კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის, ადვოკატის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, ფსიქოლოგის მონაწილეობა; არასრულწლოვანთან საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დაგეგმვა და ჩატარება; არასრულწლოვნის დაცვის ღონისძიებები და სხვა.

2021 წელს პროკურატურა გეგმავს სქესობრივი დანაშაულის სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათს პერიოდულ გადამზადებას. ასევე დაგეგმილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა გადამზადება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის თემაზე.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2016 წლიდან აქტიურად დაიწყო საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება, რაც გამოიხატა პროკურორებისთვის ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით რეკომენდაციების შემუშავებაში, პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადებაში, სტატისტიკური მონაცემების სრულყოფასა და პროკურორთა სპეციალიზაციაში.

2016 წელს პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილის (დღეს მოქმედი რედაქციით საქართველოს სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი), როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“. რეკომენდაციამ ხელი შეუწყო შეუწყნარებლობის მოტივის დასაბუთების პრაქტიკას, რის შედეგადაც 2016 წლიდან დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრაქტიკა გაუმჯობესდა.

2016 წელს საქართველოს პროკურატურასა და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს შორის სამი წლის ვადით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა ე. წ. ,,PAHCT“-ის (სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორთა ტრენინგი) პროგრამა.

2017 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც გაიწერა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესაძლო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ინსტრუქცია. აღნიშნული კითხვარი დაეგზავნა პროკურატურის სისტემის თანამშრომლებს, რის შედეგადაც სისხლის სამართლის საქმეებში გაიზარდა დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

განსაკუთრებით აღასანიშნავია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები. კერძოდ, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით 2017 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა. რეკომენდაცია ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულ ნორმათა განმარტებას, რელიგიური შენობა-ნაგებობების დაზიანებათა შემთხვევებს, ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების სამართლებრივ კვალიფიკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს.

აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2014-2019 წლებში რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ჯამში

46 პირის მიმართ; 2016-2019 წლებში რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დაზარალებულად ცნობილ იქნა ჯამში 80 პირი, მათ შორის 4 იურიდიული პირი.

2020 წელს რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილ იქნა 10 პირი, მათ შორის 3 იურიდიული პირი.

2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს. ამჟამად, სპეციალიზებულია 136 თანამშრომელი, მათ შორის – 36 მენეჯერი, 81 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 19 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს პროკურატურის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯების შედეგია ის, რომ ბოლო წლებში გაზრდილია სპეციალიზებული პროკურორების მიერ სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

2016-2020 წლებში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა სულ დაიწყო 675 პირის მიმართ.

2020 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 253 პირის მიმართ. 2020 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილ იქნა 272 პირი, ამათგან 268 ფიზიკური და 4 იურიდიული პირი.

2020 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, ევროპის საბჭოს ხელშეწყობით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აქტიური ჩართულობით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებას, მონაცემთა ერთიანი, სრულყოფილი, ზუსტი და გამჭვირვალე სისტემის შექმნას და 2021 წლიდან პროაქტიულ გამოქვეყნებას[3].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე საპილოტე რეჟიმში გამოქვეყნდა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკური ანგარიში და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, გაეცნოს დისკრიმინაციის ნიშნით

[3] https://www.geostat.ge/media/35290/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98--GEO.pdf

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშულის ერთიან, სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს[4].

2020 წელს ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით, პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და ამ კატეგორიის საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სპეციფიკას, გამომძიებლისა და პროკურორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების, ასევე საგამოძიებო და საპროკურორო ტექნიკების იმგვარად გამოყენებას, რაც შშმ პირების ინტერესების ეფექტიან დაცვას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას უზრუნველყოფს და სრულად შეესაბამება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილ სტანდარტებს.

2020 წელს ასევე შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის „უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ", რომელშიც უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებ იქნა გაზიარებული. დოკუმენტი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა - უფლებადამცველის დეფინიცია და სპეციალური ტერმინოლოგია, უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია და ეფექტიანი გამოძიების წარმოება.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო განსაზღვრულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ODIHR-ის წარმომადგენლად საქართველოში და საქართველოს სახელით ყოველწლიურად აგროვებს სტატისტიკას შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, ავსტრიაში, ქ. ვენაში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაზე პოზიტიურად შეფასდა საქართველოს პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

ევროპის საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსების დანერგვა საქართველოს პროკურატურაში 2016 წლიდან დაიწყო და არაერთი წარმატებული სასწავლო კურსი ჩატარდა მოსამართლეებთან, გამომძიებლებთან და ადვოკატებთან ერთად ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორებიცაა: ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პროკურატურა ყველაზე წარმატებული უწყებაა HELP-ის სასწავლო კურსების იმპლემენტაციის პროცესში. საერთო ჯამში, 2016 წლიდან დღემდე საქართველოს პროკურატურაში წარმატებით ჩატარდა 8 სასწავლო კურსი და გადამზადდა 144 პროკურორი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ ჩატარებული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზების შედეგები

[4] https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf

საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე[5].

არასათანადო მოპყრობა

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხის მართებულად გადაწყვეტისა და სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით 2017 წელს პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები. რეკომენდაცია შეისწავლა ევროსაბჭოს ექსპერტმა, რომელმაც საერთო ჯამში დოკუმენტი დადებითად შეაფასა. ექსპერტის შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა.

2013-2020 წლებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დეპარტამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 172 თანამშრომლის მიმართ. ამათგან, 79 პირი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელია, ხოლო 93 პირი პოლიციის თანამშრომელია.

2020 წლის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. მომზადდა არასათანადო მოპყრობის ანალიზი. ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებდნენ როგორც საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოები, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. გაანალიზდა შემდეგი ასპექტები: გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად და სათანადო კვალიფიკაციით დაწყება, დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა პერსონალური მახასიათებლები. ანალიზის მიზნებისთვის ასევე შესწავლილ იქნა კერძო პირების მიერ ჩადენილი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, მათ შორის, ოჯახური ნიშნით ჩადენილი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

2020 წელს საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 9 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით გამოძიება დაიწყო 2, ხოლო 333-ე მუხლით – 7 ფაქტზე.

[5] https://pog.gov.ge/page/default/sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulebi

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 1 თანამშრომლის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

2020 წელს საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 44 სისხლის სამართლის საქმეზე. ყველა საქმეზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 6 თანამშრომლის (პოლიციელის) მიმართ. მათ შორის: 3 პირის მიმართ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; 3 პირის მიმართ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[6].

საქართველოს პროკურატურა დასაწყის ეტაპზევე მხარს უჭერდა დამოუკიდებელი საგამოძიებო დანაყოფის – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნას, რომელიც სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ძალადობის და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებდა. პროკურატურა აქტიურად იყოს ჩართული თავდაპირველად კანონპროექტის შემუშავების და შემდეგ უკვე მაღალი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მქონე საგამოძიებო უწყების შექმნის პროცესში.

2019 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის ამოქმედებისთანავე, საქართველოს პროკურატურის სისტემაში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს საჯარო მოხელეთა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებს და ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივ დევნას და სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს.

საჯარო მოხელეთა, სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის, ცემა-წამების, ძალადობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტების ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება საზოგადოების მოთხოვნა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება იყო, რაც წარმატებით განხორციელდა.

საქართველოს პროკურატურაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის შექმნამ და ამოქმედებამ დამოუკიდებელი გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მნიშნელოვანი წინაპირობა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიები შექმნა.

[6] https://pog.gov.ge/page/default/arasaTanado-mopyroba

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მუდმივად ტარდება სწავლებები და თემატიკა მოიცავს: არასათანადო მოპყრობის დანაშაულების სწორი კვალიფიკაციის და თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ძირითად ელემენტებს, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებს, ჩხრეკა/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ტრეფიკინგი

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის 25 ივნისის ანგარიშის თანახმად, საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და განაგრძობს მტკიცე და შეუქცევად ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით, რაც განაპირობებს ქვეყნის დადებით შეფასებას – ოთხშკალიანი რეიტინგული სისტემის პირველ, უმაღლეს კალათაში ყოფნას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველო 2016 წლიდან ინარჩუნებს პირველ კალათაში ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებს თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან საბრძოლველად.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, რომელიც პირველ კალათაში მოხვდა. სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასება ისეთ ძირითად კომპონენტებს ეფუძნება, როგორებიცაა: სახელმწიფოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და ტრეფიკინგის პრევენციისა და აღკვეთის კუთხით პარტნიორობა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პოზიტიურად ფასდება როგორც ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე სამართალდამცავთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენისა და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორებზეც, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და დაზარალებულებს კონსულტაციებს უწევენ და დეტალურ ინფორმაციას აწვდიან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2018 წელს პროკურორებისთვის განახლდა სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის შესახებ.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი უწყებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა ტრეფიკინგთან ეფექტიანად ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს. პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ტრეფიკინგის ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა, რაც სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციური მხარდაჭერით სრულდება.

2016-2019 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 39 ტრეფიკიორის მიმართ. 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 ტრეფიკიორის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით, ხოლო დაზარალებულად ცნობილ იქნა 3 არასრულწლოვანი ქალი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე[7].

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეების ეფექტიანი გამოძიება.

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 8 სისხლის სამართლის საქმეზე 21 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო.

[7] https://pog.gov.ge/page/default/adamianiT-vaWroba-trefikingi

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამმართველოს მიერ დაწყებულ საქმეთა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი



უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დროს, დანაშაულებრივ საქმიანობაში იურიდიული პირების გამოყენება და ჩართულობა მზარდ ხასიათს ატარებს. ხშირია იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გამოყენება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დიდი ოდენობით ე. წ „შავი ფულის“ შემოდინების და მათი ლეგალურ ფინანსურ სისტემებში ინტეგრირების მიზნით. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის თანახმად, იურიდიული პირებიდან გამომდინარე ფულის გათეთრების რისკი შეფასებულია როგორც საშუალო-მაღალი. ამდენად, იურიდიულ პირთა ჩართულობის გამოვლენა დანაშაულებრივ საქმიანობაში და მათ მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენებს:

გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობა



საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებზე ეფექტიან გამოძიებაზე მიუთითებს ყადაღადადებული და ჩამორთმეული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოცულობა.

წლების მიხედვით, საქართველოს პროკურატურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე ყადაღა იქნა დადებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემდეგ ქონებაზე:

- ✓ 2020 წელს – 1 459 647 ლარი, 5 722 700 აშშ დოლარი, 5 486 278 ევრო, 8 528 688.06 აშშ დოლარის და 313 772.35 ევროს ღირებულების ფასიანი ქაღალდები, 7 ავტომანქანა, 4 მიწის ნაკვეთი, 54 უძრავი ქონება;
- ✓ 2019 წელს – 191 748 ლარი, 902 974 აშშ დოლარი, 616 044 ევრო და 3 144 283 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი;
- ✓ 2018 წელს – 17 522 495 ევრო, 21 183 776 აშშ დოლარი, 16 629 ლარი, 142 834 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი და 6 357 835.91 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები (დაახლოებით 125 000 000 ლარი);

რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, ჩამორთმეული ქონებების ოდენობას, წლების მიხედვით, მონაცემები შემდეგია:

- ✓ 2020 წელს – 356 500 ლარი, 171 286 აშშ დოლარი, 302 810 ევრო და 2 ავტომანქანა;
- ✓ 2019 წელს – 5 საცხოვრებელი ბინა, 23 000 აშშ დოლარი და 725 000 ლარი;
- ✓ 2018 წელს – 1 საცხოვრებელი ბინა, 7 ავტომანქანა, 690 000 ლარი, 199 975 შვეიცარიული ფრანკი, 37 899 აშშ დოლარი;

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი, საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამართალდამცავ უწყებებს შორის კოორდინაციის და თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ სამუშაო-ანალიტიკურ პლატფორმას, რომელშიც საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების გარდა, მონაწილეობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის მიზანია საქართველოში გავრცელებული ფულის გათეთრების ტიპოლოგიის ანალიზი, მაღალი რისკის მქონე სფეროების იდენტიფიცირება, პრაქტიკის განზოგადება, არსებული პრობლემატიკის ანალიზი და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით ჩატარებულმა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებმა ცხადყო, რომ ჯგუფის ფუნქციონირებამ უფრო ეფექტიანი და მოქნილი გახადა კომპეტენტური ორგანოები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. აღნიშნულის დადასტურებაა საერთაშორისო ექსპერტების დასკვნა, რომლის თანახმადაც, ,,საგამოძიებო უწყებებს შორის არსებობს ქმედითი თანამშრომლობა და კოორდინაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში შექმნილმა მუდმივმოქმედმა სამუშაო ჯგუფმა გააძლიერა.“

თანამედროვე გამოწვევების პარალელურად და იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალური აქტივების პოპულარიზაციასთან ერთად გაიზარდა მათი გამოყენების არეალი დანაშაულებრივ

საქმიანობაში, დღის წესრიგში დადგა საგამოძიებო ორგანოების მიერ ვირტუალური აქტივების მოძიების და ამოღების მიმართულებით დროული და ეფექტიანი რეაგირება.

2020 წელს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და სხვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა ჩართულობით, საქართველოს პროკურატურაში შემუშავდა ვირტუალური აქტივების ამოღების შესახებ სახელმძღვანელო რეკომენდაცია. 2021 წლიდან სამართალდამცავ უწყებებს ექნებათ მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.

შემუშავებული სახელმძღვანელო ემყარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც დაეხმარება პროკურორებს და გამომძიებლებს სათანადო პროცედურების დაცვით, კანონიერად ამოიღონ მესამე პირების მფლობელობაში არსებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვირტუალური აქტივები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი წარმოადგენს ფულის გათეთრების, საფინანსო სექტორში ჩადენილ და მატერიალური სარგებლის მიღებით მოტივირებულ კომპლექსურ დანაშაულებზე, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე საერთაშორისო თანამშრომლობის არხებით შემოსული შუამდგომლობების შემსრულებელ კომპეტენტურ სტრუქტურულ დანაყოფს. ამ მიმართულებით 2020 წელს საგამოძიებო ნაწილმა შეასრულა 13 და გააგზავნა 29 შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამავდროულად, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო 5 საქმეზე. აღნიშნულ საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების ჩართულობით შექმნილია საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფები.

კორუფციული დანაშაული

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კორუფციული დანაშაულების პრევენცია, გამოვლენა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ქვეყანაში კორუფციული ან კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის გაანალიზებისა და კოორდინირებული, ეფექტიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარების მიზნით, საქართველოს პროკურატურის სისტემაში 2018 წელს შეიქმნა სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფი – კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო. აგრეთვე, კორუფციულ დანაშაულებზე გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურატურის ცენტრალური და რეგიონალური საგამოძიებო დანაყოფები.

კორუფციული დანაშაულის გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია რეფორმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედი ანტიკორუფციული საგამოძიებო დანაყოფები საქმიანობას განახორციელებენ ერთი სტრუქტურული ქოლგის ქვეშ.

კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს სპეციალიზებული გამომძიებელი ეყოლება ყველა საგამოძიებო დანაყოფში და მათი კოორდინირებული მართვა განხორციელდება ცენტრალიზებულად.

ანტიკორუფციული პოლიტიკის ფარგლებში, 2020 წელს საქართველოს პროკურატურაში კორუფციასთან დაკავშირებულ 169 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება და 67 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 2020 წელს სასამართლო განაჩენი დადგა კორუფციულ დანაშაულში მხილებული 58 პირის მიმართ.

პროკურატურის მიერ კორუფციულ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

კორუფციასთან ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის დანერგვა და ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის არსებობა. ამ მიზნით საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან, კოორდინაციას უწევს კორუფციასთან ბრძოლას და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას.

ანალიტიკური მიმართულების გასაძლიერებლად, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 14 აგვისტოს ბრძანებით, პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს დაევალათ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების/შეწყვეტის, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოსათვის. კორუფციის კუთხით ქვეყანაში არსებული ერთიანი სურათის ანალიზის შედეგად მოხდება რისკ-ფაქტორებისა და კორუფციული ინდიკატორების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა და ქმედითი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციისა და კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიმართულებით დაგეგმილია ქმედითი ღონისძიებები დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელთა დაცვის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ნარკოტიკული დანაშაული

2020 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობდა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულ პერიოდში პოლიციის ეფექტიანი მუშაობის შედეგად ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება: 89 კგ „ჰეროინი“, 1 კგ „კოკაინი“, 7000 აბი ,,სუბოტექსი“ და 6,5 კგ-ზე მეტი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლო წლების ტენდენცია და ძირითადი აქცენტი კეთდება ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელ პირთა გამოვლენაზე. შესაბამისად, განსაკუთრებით აქტუალური იყო ნარკოტიკებით ვაჭრობის ისეთი ახალი სქემების გამოვლენა, როგორიცაა საკომუნიკაციო საშუალებების

გამოყენებით ონლაინ ვაჭრობა. ამ ტიპის დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალიზებული დანაყოფი, რომლის აქტიური მუშაობის შედეგად 2020 წელს გამოვლინდა 16 ნარკომოვაჭრე და 13 ე. წ. ,,ინტერნეტ მაღაზია".

2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 71 ნარკორეალიზატორის მიმართ. აღნიშნულ პირთა გამოსავლენად, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა საკონტროლო შესყიდვა, ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება და სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება. ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენება განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრია ნარკორეალიზატორების მიმართ. კერძოდ, 2020 წელს 71 ბრალდებულიდან 70 შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პროკურორების მიერ მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. რაც შეეხება გამონაკლისს, იგი განპირობებული იყო ბრალდებულის განსაკუთრებული თანამშრომლობით (მისი აქტიური ქმედების შედეგად გამოვლინდა 6 რეალიზატორი).

2020 წელს ნარკორეალიზატორთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოში ძირითადად დასრულდა არსებითი განხილვით და სასამართლოს მიერ გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები. აღნიშნულ პერიოდში გამამტყუნებელი განაჩენი სულ გამოტანილ იქნა ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი 80 პირის მიმართ, საიდანაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 10 შემთხვევაში, მხოლოდ გამოძიებასთან მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის პირობით და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებით.

საქართველოს პროკურატურის მიერ 2020 წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლის შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტების შესწავლას, აქტივების მოძიებას და მათს მიდევნებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქტიურად დაიწყო მსგავსი კატეგორიის საქმეებზე შესაბამისი პრაქტიკის დამკვიდრებაც. 2020 წელს ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, ხოლო ჩამორთმევას დაექვემდებარა 854 848 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.

2020 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც. ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობით გამოვლენილი იქნა 110 კგ „ჰეროინის" საერთაშორისო ტრანზიტის ფაქტი. აღნიშნულ საქმეზე საქართველოში წარმატებით განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ორგანიზებული ჯგუფის სამი სხვა ქვეყნის მოქალაქე წევრის მიმართ და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ამოქმედდა 2011 წლიდან. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებას თან ახლდა სხვადასხვა გამოწვევა, რამაც უწყებათა კოორდინირებული მუშაობა და არაერთი საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილება განაპირობა. ინსტიტუტი ამოქმედებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ნაკლები დატვირთვით მუშაობდა და 2011-2012 წლებში ნაფიცმა მსაჯულებმა სულ სამი სისხლის სამართლის საქმე განიხილეს.

2013 წელს, უწყების ინიციატივით და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის აქტიური ხელშეწყობით, დაიწყო პროკურორების გადამზადება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებში. 2015 წლიდან კი პროკურორთა სწავლებამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო და საბოლოოდ, სისტემაში მომუშავე პროკურორების სრული შემადგენლობა ინფორმირებული გახდა მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკაციებზე. პროკურორების სწავლების ეფექტიანობა გამოვლინდა სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებაში, რაც, თავის მხრივ, გამამტყუნებელი ვერდიქტების გამოტანის ძირითადი საფუძველი გახდა. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები პროკურორებს დაეხმარა კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და საჯარო გამოსვლის საკითხების მნიშვნელობის გააზრებაში და ხელი შეუწყო მათ, ამ მიმართულებით, ცოდნის გაღრმავებაში. უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი ღონისძიების მასშტაბურობისა და მიღწეული შედეგების მიუხედავად, პროკურორების გადამზადების პროცესი განგრძობადია და ინსტიტუტის მუშაობის კვალდაკვალ წარმოშობილი გამოწვევების პარალელურად, საჭირო ინტენსივობით იმართება.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც პირდაპირ აისახა მსაჯულთა სასამართლო განხილვების რაოდენობრივ მაჩვენებელზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის არეალის გაფართოების პარალელურად, 2016 წლის 12 ოქტომბერს, იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება და მოითხოვს სტრუქტურის შიგნით ერთგვაროვანი მიდგომების შემუშავებას, საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველო. დანაყოფი დაკომპლექტდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებში მონაწილეობის საუკეთესო გამოცდილების მქონე პროკურორებით, რომლებსაც დაევალათ:

- ✓ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველი სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა;
- ✓ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული სასამართლო პროცესების მონიტორინგი;

- ✓ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერ პროკურორთა პროფესიული გადამზადების საკითხებზე წინადადებების შემუშავება;
- ✓ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებების გაანალიზება და პროკურორებისთვის სათანადო რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ საქართველოს პროკურატურის საქმიანობაში უახლესი მიღწევების დანერგვის მიზნით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება.

2017 წელს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა მოსამართლეებით, პროკურორებით და ადვოკატებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სახელმძღვანელო ინსტრუქციები ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოსაყენებელი კანონის განმარტების შესახებ.

ჯგუფმა შეასრულა დაგეგმილი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი – შეიმუშავა ინსტრუქციები საპროცესო კანონმდებლობის განმარტების შესახებ. იმ ფონზე, როდესაც რაიონულ და საქალაქო სასამართლოებს ჰქონდათ მსაჯულების მიერ გამოსაყენებელი კანონის განმარტების განსხვავებული პრაქტიკა, საერთო სასამართლოების სისტემაში ერთგვაროვანი მიდგომის შემუშავებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა პროცესი და შესაძლებელი გახადა მოსამართლის მიერ გასაკეთებელი კანონის განმარტებების შინაარსის წინასწარი განჭვრეტა.

2018 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ინიცირებით პროკურორები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატში და ესწრებოდნენ მსაჯულების მონაწილეობით გამართულ სასამართლო პროცესებს, მათ შორის, მსაჯულთა შერჩევის პროცესს. აღნიშნული ეტაპი განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ქართულ სასამართლოს პრაქტიკაში, ვინაიდან იგი მოითხოვს რიგ შემთხვევებში ორ თვეზე მეტ პერიოდს და დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან. სასწავლო ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა პროკურორებისთვის, რადგან იქ გაეცნენ კანდიდატებისათვის კითხვების დასმის ტექნიკას, რამაც ხელი შეუწყო მსაჯულთა შერჩევის პროცესში პროკურორების მონაწილეობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები – სასწავლო პროგრამები და ასევე 2018 და 2019 წელს ჩატარებული კონფერენციები, რომლებიც სრულად დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ პრაქტიკის შესწავლასა და გაანალიზებას, რომელიც სწორედ მსაჯულთა სასამართლოს მოქმედების პირობებში, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის მიზნით შემუშავდა.

გარდა ამისა, განცალკევებით უნდა აღინიშნოს პროკურორების ჩართულობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში. სახელმწიფო ბრალმდებლებმა არაერთი საჯარო ლექცია ჩაატარეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და სასკოლო დაწესებულებაში. მონაწილეობას იღებდნენ და საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ სტუდენტებს მათ მიერ გამართული იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს. ასევე, პროკურორებმა საზოგადოების სხვადასხვა

სეგმენტისთვის ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ არაერთ შეხვედრაში.

უნდა ითქვა, რომ არსებული მიღწევების მიუხედავად მთავარ გამოწვევად რჩება ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესი, რომელიც გახანგრძლივებულ ვადებთან არის დაკავშირებული. 2020 წლის 2 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების ფონზე (სასამართლოს კოორდინატორთა სამსახურს მიეცა შესაძლებლობა მოეპოვებინა მსაჯულობის კანდიდატებზე დამატებითი ინფორმაცია (მობილური ტელეფონის ნომრები) მათი პროცესზე გამოძახების მიზნით), წინა პერიოდთან შედარებით დაჩქარებულ ვადებში შეირჩა ნაფიცი მსაჯულები და შესაბამისად, შედარებით ნაკლები დრო დაეთმო თითოეული სასამართლო პროცესის გამართვას. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების სასამართლო პროცესებზე გამოცხადების რაოდენობრივი მაჩვენებელი მაინც დაბალია, რის გამოც შერჩევის პროცედურების ოპტიმალურ ვადებში ჩატარება რიგ შემთხვევაში რთულად განსახორციელებელია და რჩება ამ მიმართულებით მუშაობის მთავარ გამოწვევად.

ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო პროცესები ძირითადად იმართება სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებსაც განზრახი მკვლელობის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული, თუმცა ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო არაერთგვაროვანი ხდება იმ საქმეების შინაარსი, რომლებსაც მსაჯულები განიხილავენ. მაგალითად, 2020 წლის ივნისში თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით პირველად გაიმართა ოჯახში ძალადობის საქმის განხილვა. პროცესზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა გარკვეული სახის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, საქმეში მონაწილე პირების დაზარალებულის და მოწმეების დამოკიდებულება სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით იყო ბრალდების მხარისთვის არახელსაყრელი. ამასთან, პროკურორებს განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდათ ნაფიცი მსაჯულების დასარწმუნებლად, ჩართული ყოფილიყვნენ საქმის განხილვაში და საბოლოოდ სამართლიანი გადაწყვეტილება მიეღოთ. საბოლოოდ, საქმის განხილვა პროკურორებმა წარმატებით დაასრულეს, რაც ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის და პროცესში ჩართული საზოგადოების წევრების მართლშეგნებით იყო განპირობებული.

რაც შეეხება ნაფიცი მსაჯულების მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, 2011 წლიდან 2020 წლის ჩათვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა სულ 48 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 39 საქმე – სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით, 8 – სამოხელეო და ფინანსური, ხოლო 1 ოჯახური დანაშაული.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მკვლელობის საქმეებზე გამოტანილი ვერდიქტები



აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა მუდმივად ავითარებს სხვადასხვა საჭირო მიმართულებას ნაფიცი მსაჯულების სასამართლო პროცესზე პროკურორების მიერ სახელმწიფო ბრალდების სათანადო წესით მხარდაჭერისა და არსებული გამოწვევების გამკლავების მიზნით. ამ დრომდე შესრულებული სამუშაო პროცესი და მისი შედეგები სწორედ ამ ტენდენციას ასახავს.

საპროკურორო ზედამხედველობა და ანალიტიკური საქმიანობა

საქართველოს პროკურატურის განვითარების, საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, დანაშაულისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებისათვის საქართველოს პროკურატურაში შექმნილია საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენტის ფუნქციაში შედის საგამოძიებო დანაყოფების ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობა, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობა, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების საქმიანობის შეფასება, საპროკურორო საქმიანობის ანალიზი, ანალიზის შედეგად საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება, ინსტიტუციის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ქართული და უცხოური პრაქტიკის განზოგადება, პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებული პროექტების ინიცირება/განხორციელება და საქართველოს გენერალური პროკურორის რეკომენდაციებისა შესრულების მონიტორინგი.

- ✓ 2020 წელს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების მიმართულებით. მომზადდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულთა ანალიზი. ამ მიზნით შესწავლილი იქნა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც 2019 წელს დაიწყო გამოძიება. საქმეთა შესწავლის პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების დაძლევის მიზნით შემუშავდა „სახელმძღვანელო მითითება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე“.

- ✓ 2020 წელს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც 2019 წლის პერიოდში სასამართლომ უარი თქვა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. ანალიზის შედეგად მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების საკითხებთან დაკავშირებით“. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითება გაეგზავნა პროკურატურის ყველა სტრუქტურულ დანაყოფს. როგორც სახელმძღვანელო მითითებაში, ასევე ზოგადად აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობათა დასაბუთების პროცესში იდენტიფიცირებული ხარვეზების შესახებ პროკურორებს ინფორმაცია მიეწოდათ დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ ტრენინგის ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას.
- ✓ 2020 წელს გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით გაანალიზდა 2020 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში გამოტანილი განჩინებები და გამამართლებელი განაჩენები. იდენტიფიცირდა სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოვლენილი, გამოძიების მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომები. გაანალიზდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ბრალდებულის დაკავებიდან გათავისუფლების, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებზე კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ. კვლევის ფარგლებში განზოგადდა საპროცესო ხარვეზები და მიზეზები, რაც საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. გამოკვეთილი ტენდენციები და პრობლემები გაზიარებული იქნება საქართველოს პროკურატურის ყველა რგოლთან, რათა მომავალში მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევები, შემცირდეს გამოძიების პროცესში დაშვებული შეცდომები და გაიზარდოს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხი.
- ✓ საქმეთა შესწავლის გზით გაანალიზდა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (მკვლელობა), 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 115-ე (თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) და 116-ე მუხლებით (სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა) გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმეები. საქმეთა შესწავლის მიზანი იყო, შეფასებულიყო გამოძიების ჩატარების და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ხარისხი და ამ მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავების საჭიროება, ასევე გაანალიზებულიყო კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები.
- ✓ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში იმპლემენტაციის, პროკურორებისა და კოორდინატორების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წელს შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“, რომელიც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მუშაობას, გააუმჯობესებს სისხლისსამართლებრივი დევნის საბოლოო შედეგებს, უზრუნველყოფს პროკურატურის სისტემაში ერთგვაროვანი, სწორი მიდგომების დანერგვასა და განხორციელებას.

გარდა ანალიტიკური საქმიანობისა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებაზე, პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობა. მათ შორის, შიდა კვლევების ჩატარება, რომელიც საშუალებას იძლევა შევიტყოთ თანამშრომელთა აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

- ✓ 2020 წელს ჩატარდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარების საჭიროების დისტანციური კვლევა“, რომლის მიზანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის პრობლემური მუხლების იდენტიფიცირება და მათზე კომენტარების შემუშავების საჭიროების განსაზღვრა. პრობლემურ და აქტუალურ მუხლებზე კომენტარების შემუშავება ხელს შეუწყობს პროკურორებს პრაქტიკულ საქმიანობაში და უზრუნველყოფს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.
- ✓ 2020 წლის ოქტომბერში ჩატარდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა დამოკიდებულების კვლევა“, რომლის მიზანი იყო თანამშრომელთა მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა პროკურატურის სისტემისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

2016 წლის მაისიდან საქართველოს პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად აქტიურად დაიწყო მუშაობა გამოძიების ელექტრონული პროგრამის ე. წ ,,ქრიმქეისის“ დახვეწაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და სტატისტიკური/ანალიტიკური მოდულის გაუმჯობესებაზე. საქართველოს პროკურატურის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ელექტრონული მმართველობის სააგენტოს“ ერთობლივი მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც 2019 წლის ნოემბრიდან ეტაპობრივად ჩაირთო და დღეისათვის უკვე მოქმედებს საქართველოს პროკურატურის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და ყველა სამართალდამცავი ორგანოს საგამოძიებო დანაყოფში.

საქართველოს პროკურატურისათვის სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვა არის ინოვაციური ნაბიჯი გამოძიების სრულყოფილად და ეფექტიანად წარმოების მიმართულებით. პროგრამას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც ამარტივებს როგორც პროკურორის, ასევე გამომძიებლის მუშაობის პროცესს, ამცირებს ადამიანური რესურსის გამოყენების საჭიროებას და სრულყოფილს ხდის მონაცემთა შეგროვებას და სტატისტიკის წარმოებას.

ახალი სისტემა არის დაცული, სწრაფი და მოქნილი. შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მაქსიმალურადაა მორგებული გამომძიებლის და პროკურორის მუშაობის სტანდარტებს, რაც ამარტივებს სისტემაში მომხმარებელთა მუშაობას.

ახალ სისტემაში სრულყოფილად ხდება სტატისტიკის წარმოება და მინიმალურია ადამიანური რესურსის ჩარევის საჭიროება. პროგრამაში ადაპტირებულია შინაარსობრივი და რაოდენობრივი მონაცემები, რაც აუცილებელია სტატისტიკის წარმოებისთვის, ანალიზების მოსამზადებლად, საჯარო ინფორმაციის გასაცემად და ასე შემდეგ.

ანალიტიკური პორტალი

ანალიტიკური პორტალი პროკურატურის ლოკალურ ქსელზე არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილია, რომელიც მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის და ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა.

პორტალზე განთავსდა ინფორმაცია ანალიზების, სახელმძღვანელოების, რეკომენდაციების და კვლევების შესახებ. ანალიტიკური პროგრამული სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას თანამშრომელთა დატვირთვის მონიტორინგის ავტომატიზაცია წარმოადგენს. ხსენებული მექანიზმი პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის მიერ თითოეული სამართლებრივი დოკუმენტის ხელმოწერას ზედმიწევნითი სიზუსტით აღრიცხავს, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად ახდენს თანამშრომელთა დატვირთვის კატეგორიზაციას ნაკლებად, საშუალოდ და ძალიან დატვირთულ თანამშრომლებად. ანალიტიკური პორტალი განსაზღვრავს დატვირთვის საშუალო ნიშნულს მომხმარებლისათვის საინტერესო საანგარიშო პერიოდთან მიმართებით და ახდენს სტრუქტურულ დანაყოფებს შორის საშტატო ერთეულების ოპტიმალური გადანაწილების მოდელირებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალიტიკური პროგრამული სისტემით განხორციელდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვის და მათზე მონიტორინგის სისტემის სრული ავტომატიზაცია.

BENCH&BAR

2020 წლის 16 ივლისს, საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან და ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, ხელი მოეწერა მემორანდუმს მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) დაარსების შესახებ.

მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს პროკურორებში, მოსამართლეებსა და ადვოკატებში იურიდიული პროფესიის გაძლიერებას, აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე ერთობლივ მსჯელობას, საერთო ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას, ერთგვაროვანი პრაქტიკის

ჩამოყალიბებასა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემის ხარისხის ამაღლებას.

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, პირველი Bench & Bar 2020 წლის 2 ოქტომბერს ჩატარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე. მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

პროკურატურის ადამიანური რესურსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 778 თანამშრომელი, მათ შორის, 304 ქალი და 474 მამაკაცი. 414 პროკურორიდან 132 ქალია, ხოლო 282 მამაკაცი; 82 გამომძიებლიდან 9 ქალია, ხოლო 73 მამაკაცი; 130 პროფესიული საჯარო მოხელეთაგან 115 ქალია, 15 – მამაკაცი, ხოლო ხელშეკრულებით მიღებული 152 თანამშრომლიდან 48 ქალია, 104 – მამაკაცი.

778 თანამშრომლიდან მენეჯერულ პოზიციას იკავებდა 139, მათ შორის - 16 ქალი. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ქალებიდან 1 არის გენერალური პროკურორის მოადგილე, 2 – დეპარტამენტის უფროსი, 3 – დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 4 – სამმართველოს უფროსი, 2 – რაიონული პროკურორი და 4 – რაიონული პროკურორის მოადგილე.

2020 წელს დაინიშნა 52 ახალი თანამშრომელი, მათ შორის 7 პროკურორი, 7 გამომძიებელი და შორის 37 სტაჟიორ-პროკურორი.

2020 წელს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ერთწლიანი სტაჟირება გაიარა 37 სტაჟიორ-პროკურორმა, რომლებიც სტაჟირების შედეგების და სტაჟირების კომისიასთან გასაუბრების შემდეგ დაინიშნებიან პროკურორისა და გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 9 ღია კონკურსი.

შეფასების სისტემა

2016 წლის ბოლოს საქართველოს პროკურატურაში ინდივიდუალური პროკურორის დამოუკიდებლობის გაზრდის მექანიზმის გასაუმჯობესებლად გაიწერა პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დამტკიცებამდე იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, წარედგინა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებების დიდი ნაწილის მხედველობაში მიღების და გაზიარების შემდგომ, საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურების პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები. 2017 წლის ბოლოს კი, დამტკიცდა მთავარი

პროკურატურის დეპარტამენტების პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების კრიტერიუმები.

პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელება დაევალა მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს. დაკისრებული ახალი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისა და შეფასების შედეგებისადმი შეფასებულ პროკურორთა ნდობის ხარისხის გაზრდის მიზნით, აღნიშნული დეპარტამენტის პროკურორებს 2017 წლის შემოდგომაზე ჩაუტარდათ ატესტაცია და ახალი თანამშრომლების შერჩევა განხორციელდა შიდა კონკურსის გზით.

2017 წლიდან პროკურორთა შეფასება ხორციელდებოდა რეგულარულად, შემდეგი კომპონენტებით:

- ✓ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება;
- ✓ საპროცესო დოკუმენტების შედგენა;
- ✓ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის მონიტორინგი.

საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კომპონენტში შეფასებას ექვემდებარებოდა შესაფასებელ პერიოდში პროკურორის საზედამხედველო სისხლის სამართლის საქმეები.

სამართლებრივი წერის კომპონენტში შეფასებას ექვემდებარებოდა – დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ, დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით შეფასებას ექვემდებარებოდა პროკურორთა მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის შემოწმება სასამართლო მონიტორინგის განხორციელების გზით, რომელიც მოიცავდა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო სხდომის, საპროცესო შეთანხმების და არსებითი განხილვის სხდომებს.

2018-2020 წლების განმავლობაში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გაანალიზდა როგორც შეფასების პროცესი, ასევე არსებული შედეგები. აღნიშნული მონიტორინგის საფუძველზე 2020 წელს შემუშავდა შეფასების სისტემის განახლებული ვერსია. შეფასების სისტემის განახლების მიზანი იყო, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომხდარიყო შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწა, რათა იგი გამხდარიყო სრულყოფილი, პროგნოზირებადი, მარტივად აღქმადი და გამჭვირვალე. შეფასების არსებული სისტემის მოდერნიზაციის ერთ-ერთი საფუძველი ასევე გახდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებები. 2020 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში პროკურორთა და გამომძიებელთა ახალი შეფასების სისტემის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით დისტანციური შეხვედრები ჩატარდა ასევე საოლქო და რაიონული პროკურატურის თანამშრომლებთან. პრეზენტაციების ფარგლებში პროკურატურის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია ახალი შეფასების სისტემით

გათვალისწინებული ძირითადი სიახლეების თაობაზე. პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების ახალი სისტემა განხილვის მიზნით წარედგინა ასევე გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს – კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს. მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს ახალი შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ რეკომენდაცია.

2020 წლის 10 დეკემბერს კი გამოიცა საქართველოს გენერალური პროკურორის №047 ბრძანება „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს საპროკურორო საქმიანობისა და პროკურატურის სისტემაში გამოძიების ხარისხის ამაღლებას, პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა რანგირების, წახალისების, დაწინაურების, დისციპლინური სახდელის დადების, უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის და დათხოვნის გამჭვირვალე სისტემის შექმნას, პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა მოტივაციის ამაღლებას.

შეფასების შედეგები მხედველობაში მიიღება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა რანგირების, წახალისების, დაწინაურების, დისციპლინური სახდელის დადების, უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანისა და დათხოვნის საკითხების გადაწყვეტისას.

პროკურორი და გამომძიებელი ფასდება შემდეგ მიმართულებებში:

- ✓ პროკურორის საქმიანობის ხარისხი;
- ✓ პროკურორის/გამომძიებლის დატვირთვა;
- ✓ ხელმძღვანელის შეფასება;
- ✓ პროკურორის/გამომძიებლის მონაწილეობა მენტორობის პროგრამაში;
- ✓ პროკურორის/გამომძიებლის ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგების დროს მიღებული შეფასება;
- ✓ პროკურორის/გამომძიებლის პრევენციულ ღონისძიებებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა;
- ✓ წახალისების ღონისძიებები და დისციპლინური სახდელები.

პროკურორის საქმიანობის ხარისხი, პროკურორის დატვირთვა და ხელმძღვანელის შეფასება წარმოადგენს შეფასების ძირითად მიმართულებებს. შეფასების დასრულების შემდეგ პროკურორსა და გამომძიებელს ეგზავნებათ თავიანთი შეფასების შედეგები და ისინი უფლებამოსილი არიან, შეფასების შედეგები „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრონ.

პროკურორის საქმიანობის ხარისხის შეფასების კომპონენტებია:

- ✓ საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხი;
- ✓ საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობისა და სამართლებრივი წერის ხარისხი;
- ✓ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი.

პროკურორის დატვირთვა და დატვირთვის განსაზღვრის წესი:

- ✓ პროკურორის დატვირთვა წარმოადგენს საპროცესო ხელმძღვანელობის და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეტაპზე პროკურორის მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ გაანგარიშებას.
- ✓ პროკურორის დატვირთვა გამოითვლება როგორც ცალკეული სტრუქტურული დანაყოფის, ასევე ქვეყნის მასშტაბით ურთიერთშედარებადი სტრუქტურული დანაყოფების ფარგლებში.
- ✓ ცალკეული სტრუქტურული დანაყოფის დატვირთვის შიდა საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება ამ დანაყოფის პროკურორთა დატვირთვის მონაცემების ამავე დანაყოფის პროკურორთა რაოდენობაზე გაყოფით.
- ✓ ურთიერთშედარებადი სტრუქტურული დანაყოფების პროკურორთა დატვირთვის საერთო საშუალო მაჩვენებელი გამოითვლება ამ დანაყოფების პროკურორთა დატვირთვის მონაცემების ამავე დანაყოფების პროკურორთა საერთო რაოდენობაზე გაყოფით.

ხელმძღვანელის შეფასება ხდება ორ კომპონენტით:

- ✓ ზოგადი უნარ-ჩვევები;
- ✓ პროფესიული უნარ-ჩვევები.

პროკურორის მონაწილეობა მენტორობის პროგრამაში ხდება ორი კომპონენტით:

- ✓ მენტორის დატვირთვა – რამდენ თანამშრომელს გაუწია პროკურორმა მენტორობა შესაფასებელ პერიოდში;
- ✓ მენტორობის ხანგრძლივობა – რა დროის განმავლობაში ახორციელებდა პროკურორი მენტორის ფუნქციებს.

პროკურორის ტრენინგებში მონაწილეობა და ტრენინგების დროს მიღებული შეფასება ხდება ორი კომპონენტით:

- ✓ პროკურორის ტრენინგებში მსმენელად მონაწილეობა;
- ✓ პროკურორის ტრენინგებში ტრენერად მონაწილეობა.

პროკურორის პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- ✓ აღნიშნული კრიტერიუმით პროკურორის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ჩართულობა და მონაწილეობა პრევენციულ ღონისძიებებში ან/და პროკურატურის იმიჯის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულ სხვა აქტივობებში.

წახალისების ღონისძიებები და დისციპლინური სახდელები:

- ✓ შეფასებისას მხედველობაში მიიღება შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში თანამშრომლის მიმართ გამოყენებული წახალისების ღონისძიება ან/და დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

პროკურორის საქმიანობის ხარისხის შეფასების ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები შეიცავს სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი, რაც უზრუნველყოფს

შემფასებელთა მხრიდან მაქსიმალურად ობიექტურ და სამართლიან მიდგომებს, ასევე პროკურორებს და გამომძიებლებს აწვდის ინფორმაციას, თუ რა სტანდარტებს და მოთხოვნებს ეფუძნება მათი საქმიანობის ხარისხის შეფასება.

ახალი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესში სამართლიანი მიდგომების დანერგვას. ორიენტირებულია პროგრესზე და პასუხობს პროკურატურის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს პროკურატურაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შეფასების სისტემის ელექტრონული მოდულის შექმნაზე. შეფასების ელექტრონული მოდულის დანერგვა გაუმჯობესებს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და დაცვას. შესაძლებლობას მოგვცემს დინამიკაში დავაკვირდეთ პროკურორისა და გამომძიებლის საქმიანობის შედეგებს. ელექტრონული მოდული უფრო მოქნილს და კომფორტულს გახდის შეფასების განმახორციელებელი პირების მუშაობას.

მენტორობის პროგრამა

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სისტემაში დაასაქმოს მაღალკვალიფიციური პროკურორები/გამომძიებლები და ხელი შეუწყოს მათს პროფესიულ განვითარებას.

სწორედ ამ მიზნით 2018 წლის გაზაფხულზე სტაჟიორ-პროკურორების სისტემაში სწრაფად ადაპტაციის და პროფესიული განვითარებისთვის დაინერგა მენტორობის პროგრამა.

მენტორობის პროგრამის საშუალებით ახლად დანიშნული სტაჟიორ-პროკურორებისთვის შესაძლებელი გახდა მოკლე პერიოდში სისტემაში ადაპტაცია, ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნის/უნარების განვითარება და პრაქტიკული გამოწვევებისთვის მზაობა.

მენტორებად შეირჩნენ საქართველოს პროკურატურის გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც კოლეგებს შორის ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ჰქონდათ მინიმუმ 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება, კარგი პროფესიული ცოდნა, მენტორობის სურვილი, სწავლების და ეფექტიანი კომუნიკაციის კარგი უნარი.

მენტორის ფუნქციად განისაზღვრა სტაჟიორ-პროკურორებისთვის სოციალური, ემოციური, აკადემიური მხარდაჭერა და კარიერის განვითარებაში ხელშეწყობა.

შერჩეულმა მენტორებმა გაიარეს ტრენინგი, რომელიც მათთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემას და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურებოდა. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით განხორციელდა.

შეიქმნა მენტორების სახელმძღვანელო, რომელიც დაიბეჭდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და მონაწილეებს მიეწოდათ სწავლების პროცესში.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მენტორობის საკითხებზე პროკურორების სასწავლო ვიზიტი განხორციელდა უნგრეთის რესპუბლიკაში.

სტაჟირების პროგრამის დაწყებამდე განხორციელდა მენეჯერების, მენტორების და სტაჟიორ-პროკურორების ერთობლივი შეხვედრა, რომელზეც მენტორის როლის, ფუნქციების და პროცესის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე გაკეთდა აქცენტი.

სტაჟიორ-პროკურორებთან მენტორობის პროგრამის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, პროგრამის დაწყებიდან 3 თვეში მოხდა მენეჯერების, მენტორების და სტაჟიორ-პროკურორების გამოკითხვა ელექტრონული ფორმით, რომლის საფუძველზეც შეფასდა პროგრამის მიმდინარეობის ეფექტიანობა და გამოკითხვის შედეგების შესაბამისად დაიხვეწა პროგრამა.

მენტორობის პროგრამა რეგულირებულია საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით.

რანგირების სისტემა

საქართველოს პროკურატურაში მნიშვნელოვანი სიახლეა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემის დანერგვა. საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

- ✓ რანგირების მიზანი არის პროკურატურის თანამშრომელთა კარიერის სწორად დაგეგმვა და განვითარება, მოტივაციის ზრდა და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება.
- ✓ რანგირებას ექვემდებარებიან პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები.
- ✓ პროკურორსა და პროკურატურის გამომძიებელს რანგს ანიჭებს, უცვლის ან/და უცვლელად უტოვებს საქართველოს გენერალური პროკურორი შესაბამისი ბრძანებით სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.
- ✓ მეორე და პირველი რანგის მინიჭების შემდეგ პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები ყოველთვიურად იღებენ რანგის შესაბამის სახელფასო დანამატს.
- ✓ პროკურატურაში დაწესდა პირველი რანგი, მეორე რანგი და მესამე რანგი.

პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლისთვის რანგის მინიჭების ან შეცვლის საკითხს განიხილავს და გენერალურ პროკურორს რეკომენდაციით მიმართავს რანგირების საბჭო.

რანგირების საბჭო რანგის მინიჭების, შეცვლის ან/და უცვლელად დატოვების საკითხის განხილვისას მხედველობაში იღებს შემდეგ ზოგად საფუძვლებს:

- ✓ პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შეფასების შედეგები;
- ✓ პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის შრომითი სტაჟი, რომელიც მეორე რანგის მისანიჭებლად არ უნდა იყოს პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის 2 წლის სტაჟზე ნაკლები, ხოლო პირველი რანგის მისანიჭებლად – პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის 3 წლის სტაჟზე ნაკლები;
- ✓ ინფორმაცია წახალისებისა და დისციპლინური სახდელის შესახებ;

- ✓ ინფორმაცია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის შესახებ;
- ✓ პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ხელმძღვანელის წარდგინება (დახასიათება), რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შესახებ;
- ✓ გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარდგინება;
- ✓ გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ან მოადგილეების წარდგინება.

მეორე და პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭებისას უნდა არსებობდეს 2 წინაპირობა:

- ✓ მეორე რანგის მისანიჭებლად აუცილებელია შეფასების სისტემის საფუძველზე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ მაღალი ან უმაღლესი შეფასების მიღება და პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
- ✓ პირველი რანგის მისანიჭებლად აუცილებელია შეფასების სისტემის საფუძველზე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ უმაღლესი შეფასების მიღება და პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

რაც შეეხება რანგის მინიჭების ვადებს:

- ✓ პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლისათვის რანგის მინიჭება/შეცვლა ხდება წინა რანგის მინიჭებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, შეფასების შედეგების გათვალისწინებით.
- ✓ რანგის მინიჭება/შეცვლა შესაძლებელია საქმიანობის ყოველი შეფასებისას ორწლიანი ვადის დაცვის გარეშე ხელმძღვანელის ან/და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოტივირებული და დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე ან/და რანგის შეცვლის დისციპლინურ სახდელად გამოყენებისას.

რანგის მინიჭების/შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საერთო წესით, გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლებისათვის პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესით განსაზღვრული რანგის მინიჭების, შეცვლის ან/და უცვლელად დატოვების საკითხთა განხილვის მიზნით არსებობს საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო - რანგირების საბჭო, რომლის შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს N037 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს დებულებით.

რანგრების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპროკურორო საბჭოს 8 პროკურორი წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის, ადამიანური რესურსების მართვისა და

განვითარების და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსები. საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პროკურატურის ყველა პროკურორსა და გამომძიებელს საწყისი - მესამე რანგი მიენიჭა.

2020 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატებისათვის რანგის მინიჭების საკითხი. რანგირების საბჭოს სამდივნომ რანგირების საბჭოს წარუდგინა მასალები 137 პროკურორის და გამომძიებლისთვის მეორე ან/და პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭების თაობაზე. საბჭოს სხდომაზე კენჭისყრით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 36 პროკურორის/გამომძიებლისთვის I რანგის, ხოლო 74 პროკურორის/გამომძიებლისთვის II რანგის მინიჭების თაობაზე.

საქართველოს პროკურატურაში თანამშრომელთა მიღების, შემოწმების, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების, დაქვეითების, თანამდებობრივი გადაადგილების (როტაციის) წესი

პროკურატურის თანამშრომელთა მიღების, შემოწმების, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების, დაქვეითების და როტაციის წესი დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 26 აგვისტოს N039 ბრძანებით და მასში ,,პროკურატურის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლების გათვალისწინებით დეტალურად გაიწერა და დაიხვეწა თანამშრომლების სამსახურში მიღების, შემოწმების, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების/დაქვეითების და როტაციის კრიტერიუმები, პროცედურები და უზრუნველყოფილი იქნა ამ პროცესის გამჭვირვალობა.

ამ წესის მიღებითა და პრაქტიკაში განხორციელებით, პროკურატურას ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) კომიტეტმა შესრულებულად ჩათვალა მისი რეკომენდაცია პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების თაობაზე.

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

2020 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, შიდა რესურსის გამოყენებითა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სულ განხორციელდა 126 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 1205 მონაწილე.

დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

- შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზაციის სამი სასწავლო კურსი განხორციელდა, რომელშიც ჩართული იყო 46 პროკურორი. სასწავლო კურსი საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, მოიცავდა დაზარალებულთან/მსხვერპლთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.
- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის, სიძულვილით

მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე განხორციელდა HELP-ის პროგრამის სასწავლო კურსი. სწავლება მოიცავდა 3 ეტაპს: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის 15-მა წარმომადგენელმა.

- საქართველოს პროკურატურის და თანასწორობის მოძრაობის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი თემაზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრაქტიკული ასპექტები და სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმეებში. სასწავლო კურსის ფარგლებში ჩართული იყო 39 პროკურორი. სწავლება მიზნად ისახავდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში პროკურორების და გამომძიებლების უნარების გაუმჯობესებას, რათა მათ უკეთ შეძლონ სიძულვილის მოტივის გამოკვეთა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.
- ევროკავშირის და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა სემინარების სერია თემაზე - „მტკიცებულებების, ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესება დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღქმისა და მათზე რეაგირებისთვის“. სულ ჩატარდა 5 სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა 6 პროკურორი.

- დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე სტაჟიორებისთვის 3 დისტანციური ტრენინგი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც ჩართული იყო 37 სტაჟიორ-პროკურორი. სწავლების პროცესში დეტალურად განიხილებოდა დისკრიმინაციის ისეთი ნიშნები, როგორიცაა: რელიგიური და ეთნიკური, სქესისა და გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია, ასევე დისკრიმინაცია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.
- შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზაციის სასწავლო კურსი ჩატარდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის. სწავლება გაიარა აღნიშნული სამსახურის 19 წარმომადგენელმა. სასწავლო პროგრამა მოიცავდა, როგორც სამართლებრივ საკითხებს, ასევე დაზარალებულებთან/მსხვერპლებთან და მოწმეებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

- გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა 2 დისტანციური ტრენინგი ძალადობის და დისკრიმინაციის საკითხებზე. სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და მასში პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის 18 წარმომადგენელთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორებიც იყვნენ ჩართული.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 1 სასწავლო აქტივობა. სწავლებაში ჩართული იყო 11 თანამშრომელი. სწავლების მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სწორი დამოკიდებულების ფორმირება.

ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, სპეციალიზებული პროკურორებისთვის HELP-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა სამთვიანი დისტანციური სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 20 მსმენელმა.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ოჯახში ძალადობის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის განხორციელდა დისტანციური ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 19 პროკურორი. ტრენინგი ერთობლივი ფორმატის იყო და მასში პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები და პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წარმომადგენელი.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან თანამშრომლობით ჩატარდა კონფერენცია ,,ქალები პოლიციაში", რომელშიც პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, სხვა მიზნობრივი უწყების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციის მიზანი იყო სამართალდამცავ უწყებებში ქალების გაძლიერება და განათლება. კონფერენციაში 11 ქვეყნის 300-მდე მონაწილე იყო ჩართული.
- სქესობრივი დანაშაულების გამოძიების და დევნის საერთაშორისო სტანდარტების თემაზე პროკურორებისთვის დისტანციური ტრენინგი ჩატარდა. სწავლებაში ჩართული იყო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კუთხით სპეციალიზებული 15 პროკურორი. სასწავლო კურსი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საფარისა" და პროკურატურის ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა.
- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე მენტორინგის პროგრამა დაინერგა. კურსი რვა თვის მანძილზე გრძელდებოდა და მასში ჩართული იყო ორი მენტორი და ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული ექვსი პროკურორი. პროგრამის დანერგვას წინ უძღოდა მენტორინგის სახელმძღვანელოს შექმნა და მენტორების გადამზადება.
- სასწავლო აქტივობები განხორციელდა სექსუალური შევიწროვების პრევენციის, გენდერულად მგრძნობიარე დასაქმების და კიბერძალადობის თემებზე, რომლის ფარგლებშიც ჩართული იყო პროკურატურის 5 თანამშრომელი.

წამება და არასათანადო მოპყრობა

- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2 დისტანციური ტრენინგი ჩატარდა თემაზე "წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აქტუალური საკითხები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით." სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო 22 პროკურორი და გამომძიებელი. სწავლება მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გამოძიების პრინციპები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმები,

ეროვნულ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ხელშემშლელი ფაქტორები, გამოძიების დაწყების საფუძველი, კვალიფიკაციის პრობლემები, საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხები.

აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ევროპული სტანდარტები

- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტების თემაზე პროკურორებისთვის ჩატარდა 2 ეტაპიანი ტრენერთა ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყვნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაშვებული თავისუფლების აღკვეთა და ეროვნული კანონმდებლობა, წინასწარი პატიმრობა და პატიმრობა სასამართლოს მოლოდინში, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და სხვა. ტრენინგები ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები

- სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების თემაზე 3 დისტანციური ტრენინგი ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 37 სტაჟიორი. სწავლების ფარგლებში სტაჟიორ-პროკურორები გაეცნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და მის მთავარ ასპექტებს, მათ შორის - უდანაშაულობის პრეზუმფციას, დაცვის უფლებას, მტკიცებულებების ნაწილს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- პროკურორებისთვის განხორციელდა 2 დისტანციური ტრენინგი თემაზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოტიკულ დანაშაულთა და სასჯელთა კონსტიტუციურობა. სწავლება ინტერაქტიული ხასიათის იყო და ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 29 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი.
- სინთეტური ნარკოტიკების წარმოების და გავრცელების მეთოდების ახალი ტენდენციების თემაზე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი უნგრეთის რესპუბლიკის ქ. ბუდაპეშტში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 2 წარმომადგენელი.
- ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარდა ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა ისაუბრეს არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 16 წარმომადგენელი.
- ნარკოტრეფიკინგის თემაზე ჩატარდა ვებინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5-მა პროკურორმა. სწავლებას ესპანელი ექსპერტი უძღვებოდა, რომელმაც მსმენელებთან ერთად განიხილა ნარკოტრეფიკინგის პრაქტიკული საკითხები.
- განხორციელდა ერთობლივი კონფერენცია წამალდამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის საკითხებზე, რომელშიც პროკურატურის 2 წარმომადგენელი იყო ჩართული.

- კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა 7 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 68 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. მათ შორის 3 ტრენინგი იყო ერთობლივი ფორმატის და პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად მასში მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები. ტრენინგზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: კორუფციის პრევენცია, კორუფციის გამოვლენა და რისკების შეფასება, ინტერესთა კონფლიქტი, ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი და მამხილებელთა ინსტიტუტი, სახელმწიფო შესყიდვები, იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, ქონების ჩამორთმევა/კონფისკაცია და ა.შ.
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა 20 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 95 პროკურორმა და პროკურატურის გამომაძიებელმა. სწავლება მოიცავდა შემდეგ თემატიკას: კრიპტოვალუტის დანაშაულებრივად გამოყენების გამოძიება, უკანონო კრიპტოვალუტის საქმეების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, კიბერძალადობა, კიბერუსაფრთხოება, ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება/მოპოვება ღია ინტერნეტ სივრციდან, ინტერნეტ თაღლითობა, ფულის გათეთრება და ა.შ.
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით კრიპტოვალუტის დანაშაულებრივად გამოყენების გამოძიების თემაზე პროკურატურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა სასწავლო ვიზიტი უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუდაპეშტში, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.
- ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი განხორციელდა, რომელიც საქართველოს პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად გაიარეს. ორთვიანი სწავლება ინგლისურ ენაზე წარიმართა და ტრენინგი ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ექსტრადიცია, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებულთა გადაცემა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიება და ქონების კონფისკაცია და ა.შ. სწავლებაში პროკურატურის 16 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.
- საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე პროკურატურის თანამშრომლებისთვის განხორციელდა 1 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდა 14 მსმენელი. სწავლების ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ელექტრონული მონაცემების გამოთხოვა უცხო ქვეყნიდან და სამართლებრივი დახმარება ელექტრონულ მონაცემებთან დაკავშირებით. ტრენინგი ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა.
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ევროკავშირის მხარდაჭერით, განხორციელდა 2 ტრენინგი EUROJUST-ის როლისა და მანდატის შესახებ. სწავლებაში ჩართული იყო 27 პროკურორი.

- მტკიცებულებათა დასაშვებობის და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ 3 დისტანციური ტრენინგი განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 37 სტაჟიორი. კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები.
- ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, არჩევნებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე განხორციელდა დისტანციური სწავლება, რომელშიც მონაწილეობას 23 მსმენელი იღებდა.
- ევროკავშირის მხარდაჭერით, თაღლითობის თემაზე განხორციელდა 1 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 12 პროკურორი.
- ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის თემაზე განხორციელდა 6 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 18-მა მსმენელმა. სწავლების ფარგლებში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ადამიანთა ტრეფიკინგი და ბავშვთა ექსპლუატაცია, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია, კრიპტოვალუტის გამოყენება არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის დანაშაულის დროს და ა.შ.
- IOM-თან თანამშრომლობით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის საორიენტაციო ტრენინგი. სწავლებაში მონაწილეობას იღებდა 14 მსმენელი.
- პროკურორების ჩართულობით განხორციელდა ტრენინგი თემაზე: „ტრეფიკინგის მსხვერპლი სისხლის სამართლოს პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ათმა პროკურორმა.

სისტემური ტრენინგები და ერთიანი სტანდარტების დანერგვა

- პროკურორებისთვის ჩატარდა გადამზადების პროცესი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების თემაზე. აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა 2 დისტანციური ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობას იღებდა 37 პროკურორი. სწავლება აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტთან (DOJ) თანამშრომლობით განხორციელდა.
- საქართველოს პროკურატურის სისტემის საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე 2 დისტანციური ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25-მა მსმენელმა. სწავლება ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით განხორციელდა. სასწავლო კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროს.
- პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე პროკურატურის მრჩევლების და სპეციალისტებისთვის განხორციელდა სწავლება, რომელშიც 20 მსმენელი იღებდა მონაწილეობას.

- საპროკურორო ეთიკის საკითხებზე საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2 დისტანციური შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 30 პროკურორი და გამომძიებელი. შეხვედრა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა.
- საქართველოს პროკურატურის სტაჟიორების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, სამართლებრივი მართლწერის პრაქტიკული საკითხების თემაზე 3 ტრენინგი გაიმართა. სწავლების მიზანი სამართლებრივი მართლწერის ერთიანი სტანდარტის დანერგვა და საპროცესო დოკუმენტების შედგენის ხარისხის ამაღლება იყო.
- აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე საქართველოს პროკურატურის სტაჟიორებთან 2 დისტანციური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც ჩართული იყო სისტემის 37 სტაჟიორი.
- პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული პროგრამის შესახებ, რომელშიც პროკურატურის გამომძიებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, აღნიშნულ თემაზე დამატებით ჩატარდა 8 ტრენინგი.
- საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლებისთვის განხორციელდა 6 ტრენინგი სამხრე კამერების გამოყენების თემაზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა სისტემის 76 გამომძიებელი.
- საქართველოს პროკურატურის კანცელარიის 7-მა თანამშრომლებმა გაიარა ტრენინგი მოქალაქეებთან კომუნიკაციის ტექნიკების თემაზე.
- საქართველოს პროკურატურის 2-მა თანამშრომელმა გაიარა III და IV რანგის საჯარო მოხელეთა საბაზისო/სავალდებულო აკრედიტებული პროგრამის პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი.
- გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის 5 თანამშრომლის ჩართულობით განხორციელდა 2 ტრენინგი თემაზე - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიხედვით.

საქართველოს პროკურატურის შესაძლებლობების გაძლიერება

- საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის ახალი დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2 ეტაპიანი სწავლება განხორციელდა, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკას: პოლიტიკის დაგეგმვა, არსებული სიტუაციის ანალიზი, მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული დოკუმენტის შედგენის სტანდარტების დახვეწა, ინდიკატორების სწორად განსაზღვრა, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და სხვა.
- ევროკავშირის მხარდაჭერით, ადამიანური რესურსების მართვის თემაზე გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის 8 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი.

- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის თემაზე საქართველოს პროკურატურის კანცელარიის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელშიც 16 პირი იყო ჩართული.
- ევროკავშირის მხარდაჭერით, მონაცემთა ვიზუალიზაციის თემაზე ტრენინგი განხორციელდა, რომელშიც 13 პროკურორი იღებდა მონაწილეობას.
- პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ზოგადი და იურიდიული ინგლისურის მიმართულებით სწავლებას გადის 5 ჯგუფი, რომელშიც ჩართულია პროკურატურის 54 თანამშრომელი.

პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება. ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლით ,,პროკურატურა უზრუნველყოფს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის და პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის შესაბამისობის გამოცდის ჩატარებას“.

კანონის ახალი რეგულაციის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურამ 2020 წლის 20 ოქტომბერს გამოცხადა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა განაცხადების მიღება. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2020 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით და კონკურსში სულ დარეგისტრირდა 892 მონაწილე. შემოსული აპლიკაციების გადარჩევა წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მოხდა. პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ელექტრონულად, ტესტირების მეთოდით ჩატარდა. ტესტი სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ 100 საკითხს მოიცავდა. საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის მიერ განხილული საპრეტენზიო განცხადებების საფუძველზე, კომისიამ დაამტკიცა შედეგები, რომლის მიხედვითაც ტესტურ გამოცდაში 75 ან/და მეტი ქულა 48 პირმა დააგროვა.

საქართველოს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა 2010 წლის შემდეგ პირველად ჩატარდა და ისიც,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N042 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად თავად პროკურატურის ორგანიზებით. მანამდე არსებული კანონმდებლობის მიხედვით, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ორგანიზება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სისტემაში ფუნქციონირებს საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო. რომლის უფლებამოსილებაა:

- ✓ პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა;
- ✓ პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსში, პროკურორთა/პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემაში ცვლილებების თაობაზე წინადადებების შემუშავება და რეკომენდაციის გაცემა;
- ✓ შემფასებელთა შესაბამისობის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა;
- ✓ პროკურორებისა და გამომძიებლების შეფასებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

2020 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 10 სხდომა. მათგან 9 სხდომაზე განხილული იქნა 277 თანამშრომლის საკითხი, ხოლო ერთ სხდომაზე საბჭომ განიხილა პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების ახალი შეფასების სისტემის პროექტი.

- ✓ წასახალისებლად – მადლობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი 168 თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 144 თანამშრომელს;
- ✓ წასახალისებლად-დისციპლინური სახდელის ვადამდე მოსახსნელად წარმოდგენილი 10 თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 8 თანამშრომელს;
- ✓ შიდა კონკურსის საფუძველზე, დასაწინაურებლად წარმოდგენილი 60 თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 16 თანამშრომლის დაწინაურებას;
- ✓ განხილულ იქნა 21 თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 15 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებისა და 3 თანამშრომლის მიმართ რეკომენდაციით მიმართვის შესახებ.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა 24 სამსახურებრივი შემოწმება.

2020 წელს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები



კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 2020 წლის დეკემბერში წარედგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა 8 თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონაცემებს გენერალური ინსპექციის მიერ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის წარდგენილი სამსახურებრივი შემოწმების დასკვნების თაობაზე.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის წარდგენილი სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები



2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე.

2020 წელს გენერალური ინსპექციის მიერ
გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2020 წელს საქართველოს გენერალურ ინსპექციაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ:

- ✓ 1 პროკურორის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 1 ინსპექტორ-გამომძიებლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის -ის 339-ე მუხლით;
- ✓ 2 ადვოკატის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე და 180-ე მუხლებით;
- ✓ 1 თარჯიმნის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით.

2020 წელს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ:

- ✓ 1 პროკურორის მიმართ საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 1 თანამშრომლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- ✓ 1 ადვოკატის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ეთიკის კოდექსი

პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის ინიციატივით, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, შეიმუშავა პროკურატურის მუშაკთა ქცევის მარეგულირებელი ეთიკის

ახალი კოდექსის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურად დეტალურად აისახა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი. პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის ახალ პროექტს მის დამტკიცებამდე გაეცნენ პროკურატურის თანამშრომლები, რომელთა აზრიც მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. პროექტი მოსაზრებებისთვის ასევე წარედგინა საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტებს.

აღნიშნული კოდექსი მაშინ მოქმედი წესის შესაბამისად დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის ბრძანებით.

თუმცა, 2018-2020 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროკურატურის თანამშრომლების ეთიკის და დისციპლინურ საკითხებზე წესებისა და პროცედურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. დისციპლინური გადაცდომების სიცხადის და სანქციების პროპორციულობის უზრუნველყოფად, შესაბამისი ნორმები გაიწერა ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. 2020 წლის 26 აგვისტოს კი დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა განახლებული ეთიკის კოდექსი.

გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში არსებული პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე კი შესაძლებელი გახდა უკვე ახალი ეთიკის კოდექსის თითოეული მუხლის კომენტირება და 2020 წლის სექტემბერში გამოცა ახალი ეთიკის კოდექსის კომენტარები, სადაც დეტალურად განიმარტა თითოეული მუხლი და გაჯერებულ იქნა კონკრეტული კაზუსებით. აღნიშნული პროცესი, თავის მხრივ, რამდენიმე კუთხითაა დადებითის მომტანი: პირველი – საზოგადოებისთვის უფრო მეტად გახდა ნათელი რა მოთხოვნებია დაწესებული პროკურატურის თანამშრომელთათვის; მეორე – თავად, პროკურატურის თანამშრომლისთვის უფრო ადვილად განჭვრეტადია, თუ რა ითვლება დისციპლინურ გადაცდომად და რა სახის სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას, და მესამე – საჯარო მოხელის ქცევის ნორმებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს გარკვეულწილად შეექმნათ წარმოდგენა ამ მიმართულებით საქართველოს პროკურატურაში არსებულ სურათზე.

ეთიკის კოდექსის კომენტარებმა, გასაჯაროებამდე ექსპერტიზა გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და ევროკავშირის მართმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტებთან.

აღნიშნული რეფორმების საფუძველზე, კი ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) კომიტეტმა დააფიქსირა პროგრესი პროკურორების დისციპლინური გადაცდომების სიცხადის და სანქციების პროპორციულობის შესახებ მისი რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო მისი რეკომენდაცია პროკურორების ეთიკის კოდექსის განახლებისა და დისციპლინურ საკითხებზე კომენტარების გამოცემის შესახებ, მან სრულად შესრულებულად ჩათვალა.

პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია IAP

საქართველოს პროკურატურა 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან და სწორედ ამ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა საქართველოში პირველად ჩატარებულიყო IAP -ის კონფერენცია.

2017 წლის 26-28 ივნისს, საქართველოს პროკურატურამ უმასპინძლა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონულ კონფერენციას თემაზე „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნება და კიბერდანაშაული“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის დირექტორატმა, წარმომადგენლებმა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 25 ქვეყნის პროკურატურის ხელმძღვანელმა პირებმა. კონფერენციაზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისა და კიბერდანაშაულის თემებზე პრეზენტაციები წარმოადგინეს ევროპელმა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტებმა.

2018 წლიდან საქართველოს პროკურატურას წარმომადგენელი ჰყავს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტში, რაც ადასტურებს საქართველოს პროკურატურის მჭიდრო თანამშრომლობას ასოციაციასთან და მზაობას სისტემაში საერთაშორისო გამოცდილების აქტიურად დანერგვისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს, სხვა ქვეყნებთან მაღალი კონკურენციის მიუხედავად საქართველოს პროკურატურამ საქართველოს სახელით მოიპოვა უფლება და IAP-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა გასცა თანხმობა, რათა 2021 წლის სექტემბერში პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის 26-ე ყოველწლიური კონფერენცია და გენერალური შეხვედრა საქართველოში ჩატარებულიყო.

კოვიდ-19 ით გამოწვეული პანდემიის გამო აღნიშნული კონფერენციის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის სექტემბერი.

EUROJUST

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით 2019 წელი საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებულად გამორჩეული იყო. 2019 წლის 29 მარტს ჰაგაში ხელი მოეწერა საქართველოსა და EUROJUST-ს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიეცა შესაძლებლობა EUROJUST-ში საქართველოს წარმომადგენლად მეკავშირე პროკურორი ყოლოდა.

შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა EUROJUST-სა და ევროკავშირის ორგანოებთან ინტენსიური მოლაპარაკებები, რომელიც 2016 წლიდან დაიწყო. 2017

წელს EUROJUST-მა სიღრმისეულად შეისწავლა საქართველოს სამართალდაცვით და მართლმსაჯულების სფეროში პერსონალური მონაცემების დაცულობის თავსებადობა ევროკავშირის რეგულაციებთან. დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გადაწყდა მხოლოდ საქართველოსთან შეთანხმების გაფორმების საკითხი. შეფასების პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი უწყება სწორედ საქართველოს პროკურატურა იყო.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც EUROJUST-მა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. EUROJUST-თან შეთანხმებით საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო სწრაფად და ეფექტიანად ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.

შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 10 მარტის №17-გ ბრძანებით სამი წლის ვადით დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურატურის მეკავშირე პროკურორი EUROJUST-ში. 2020 წლის განმავლობაში მეკავშირე პროკურორმა დიდი ძალისხმევა გასწია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანად წარმართვის კუთხით. შედეგად, საქართველოს საგამოძიებო უწყებების წარმოებაში არსებულ არაერთ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეზე მეკავშირე პროკურორის ჩართულობით, უზრუნველყოფილ იქნა უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებიდან საჭირო მტკიცებულებების სწრაფად და ეფექტიანად მოპოვება.

EUROJUST-ში მეკავშირე მაგისტრატით ან/და პროკურორით წარმოდგენილნი არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები და პარტნიორი სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატები, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა, მონტენეგრო და საქართველო.

ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისთან (EU AROS) და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) თანამშრომლობა

2018 წელს საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისთან (EU AROS) და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან (OLAF) თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. კერძოდ, საქართველოს პროკურატურაში განსაზღვრა აღნიშნულ ოფისებთან თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული დანაყოფი და გამოყო კონკრეტული საკონტაქტო პირი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს პროკურატურას მათთან ურთიერთობაში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს პროკურატურა ევროკავშირის დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის ოფისებს აქტიურად უზიარებდა ინფორმაციას საქართველოში არსებული დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის მექანიზმის და შესაბამისი საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე გამოხატავდა მზაობას პრაქტიკაში ამ შესაძლებლობების მათთან ეფექტიანად გამოყენების თაობაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა:

2019 წლის მარტში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელმა (OECD ACN) დაამტკიცა პროგრესის ანგარიში საქართველოს მიერ სტამბოლის სამოქმედო გეგმის მე-4 მონიტორინგის რაუნდის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ანგარიშის თანახმად, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი OECD ACN-ის 5 რეკომენდაციიდან პროგრესი მიღწეულია 4 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

მითითებული პროგრესი განაპირობა პროკურატურის რეფორმის გაგრძელებამ, რომელიც მოიცავდა პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდას, პროკურორების სამსახურში მიღებისა და დაწინაურების წესების დახვეწას, პროკურორების შეფასების კრიტერიუმების ორგანულ კანონში გაწერას, დისციპლინური პროცედურების ორგანული კანონით დარეგულირებას და პროკურორებისათვის საქმეების გადანაწილების კრიტერიუმების შემუშავებას.

2018 წელს საქართველოს პროკურატურის და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო პროკუროების, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მექანიზმებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმებს, სასჯელის სახეებს, სისხლის სამართალწარმოების ალტერნატიულ მექანიზმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა. სახელმძღვანელოს პრაქტიკაში სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გაიარეს სწავლება. აღნიშნული კი წარმოადგენდა გასათვალისწინებელ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს OECD ACN-ის რეკომენდაციების შესრულების საერთო პროგრესს.

Moneyval

ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიება და აღნიშნულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ეროვნული სისტემის ერთ-ერთ მთავარ სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს და საქართველოს პროკურატურის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში.

2020 წლის ნოემბერში ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (Moneyval) საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში დაამტკიცა, რომლის თანახმად, საქართველოს პროკურატურის მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები, ასევე,

ფულის გათეთრების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით არსებული სტრატეგია პოზიტიურად შეფასდა.

Moneyval-ის ანგარიში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის, ასევე მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის ეფექტიანობის შეფასებას მოიცავს.

შეფასების თანახმად, საქართველოს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემა ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. ამასთან, საგამოძიებო და საპროკურორო ორგანოები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რესურსით. უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოებს აქვთ ადეკვატური რესურსები და წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა გამოძიების ეფექტიანად წარმართვისთვის. საქართველოს პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფები დაკომპლექტებულია გამოცდილი და პროფესიონალი კადრებით. მათ გააჩნიათ მრავალფეროვანი საგამოძიებო უფლებამოსილება, რაც მათ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების საშუალებას აძლევთ. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალიზებული დანაყოფი, ეფექტიანად იძიებს ფულის გათეთრების პოტენციურ დანაშაულებს ფართო საგამოძიებო ტექნიკის გამოყენებით. ასევე, პროკურატურასა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფებს შორის არსებობს ქმედითი თანამშრომლობა და კოორდინაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში შექმნილმა მუდმივმოქმედმა სამუშაო ჯგუფმა გააძლიერა. ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში არ არსებობს იურიდიული ან სტრუქტურული ხელის შემშლელი ფაქტორები ფულის გათეთრების შემთხვევებზე დევნის დასაწყებად. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საქართველოში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ყველა ტიპის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. ასევე, ქართული კანონმდებლობით შესაძლებელია დაუსაბუთებელი ქონების ლეგალიზაციისთვის პირის მსჯავრდება. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის გამოყენება ცხადყოფს ქართული მხარის პასუხისმგებლობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

Moneyval-მა ასევე მაღალ დონეზე შეაფასა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობა. ანგარიშში გაკეთებული დასკვნის თანახმად, საქართველოში კარგად ფუნქციონირებს ტერორიზმის დაფინანსების საქმეების იდენტიფიცირების, გამოძიების, პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის და მსჯავრდების მექანიზმი. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევა და აღნიშნულის შედეგად სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები შეესაბამება საქართველოში ტერორიზმის დაფინანსების რისკებს. ანგარიშის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალიზებულ პროკურორებს აქვთ მაღალი დონის ექსპერტიზა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

ონლაინ სერვის პროვაიდერებთან თანამშრომლობა

2016 წლის მარტიდან, ,,კიბერდანაშაულის შესახებ“ ბუდაპეშტის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ მულტინაციონალური ინტერნეტ კომპანიებისგან მტკიცებულებად გამოსაყენებელი ელექტრონული მონაცემების მიღება პირდაპირ დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიებისგან მონაცემების მიღებას მხოლოდ რამდენიმე დღე სჭირდება, მაშინ როცა სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი დახმარების პროცედურას რამდენიმე თვე სჭირდებოდა.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება 9 მულტინაციონალურ კომპანიასთან : Facebook, Instagram, WhatsApp, Apple, Viber, PayPal, TikTok (ByteDance), MoneyGram და Western Union.

,,Facebook“-ის მიერ სახელმწიფოების თხოვნების დაკმაყოფილების მონაცემებით, ბოლო წლებია საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. 2020 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 90%-მდე იყო მაშინ, როდესაც ამავე პერიოდისთვის დაკმაყოფილების საშუალო გლობალური მაჩვენებელი 72%-ს შეადგენა.

უცხო სახელმწიფოში არსებული მტკიცებულებების მიღებისთვის, როგორც წესი, შრომატევადი, ბიუროკრატიული და დროში გაწელილი სამართლებრივი დახმარების პროცედურებია საჭირო. შესაბამისად მულტინაციონალური კომპანიებისგან მტკიცებულებების მიღება სამართლებრივი დახმარების პროცესის გვერდის ავლით ხდება და მნიშვნელოვან რესურსებსა და დროს უზოგავს საგამოძიებო ორგანოებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისწარმოების გაციფრულება

2019 წლიდან საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისწარმოების გაციფრულება დაიწყო. 2019-2020 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით ქართულ პროცესებთან ადაპტირდა საერთაშორისო თანამშრომლობის ნიდერლანდური პროგრამა LURIS. სხვა შესაძლებლობებთან ერთად, LURIS მნიშვნელოვნად ამარტივებს დოკუმენტებისა და საქმეების მენეჯმენტს, ასევე, აუმჯობესებს მონაცემების ანალიზს. LURIS-ის სრული დანერგვა საქართველოს პროკურატურაში 2021 წელს იგეგმება.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

საქართველოს პროკურატურაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომლის მთავარი მიზანია, მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებაზე. 2011 წლიდან დღემდე კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა პროკურატურის არაერთ სტრუქტურულ ერთეულში და დღეის მდგომარეობით პროკურატურის სისტემაში სულ დასაქმებულია 21 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, 2018 წლის მაისში ძალაში შევიდა საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილები. კერძოდ, ცვლილება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ცვლილების თანახმად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე სუბიექტი და აღიჭურვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით: კერძოდ, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს და სასამართლო პროცესებს, დაზარალებულებს აწვდიან ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ, ეხმარებიან მათთვის საჭირო სერვისებით სარგებლობაში (იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში).

საკანომდებლო ცვლილების პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად შემუშავდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრა კოორდინატორთა და პროკურორთა სახელმძღვანელო წესები, გაიწერა პრაქტიკული რეკომენდაციები კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის, პირველი რეაგირების, მისი ფუნქციების, პროკურორისა და კოორდინატორის ერთობლივი მუშაობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ასევე განისაზღვრა კოორდინატორის სამსახურის პრიორიტეტები, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი ორიენტირებული უნდა იყოს ე. წ. „ძალადობრივი დანაშაულის“ დაზარალებულებისთვის და მოწმეებისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივებაზე, მათ ემოციურ მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე.

2020 წლის 1 იანვრიდან კი ამოქმედდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან იმავე კოდექსის 11[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სამ დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა.

პროკურორებისა და კოორდინატორების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“. კონსულტაციის გავლის მიზანია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი დაეხმაროს დაზარალებულს, რათა მან მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, სრულად გააცნობიეროს ბრალდებული ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის შედეგები, ასევე, რისკები და საფრთხეები, რომლის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს თავად ან/და მისი არასრულწლოვანი შვილები (მათი არსებობის შემთხვევაში) გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას. გარდა ამისა, კოორდინატორი არკვევს, დაზარალებულის მიმართ ხომ არ ხორციელდება რაიმე უკანონო ზემოქმედება და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ მისი პოზიცია ხომ არ არის განპირობებული სხვა სუბიექტური ან/და ობიექტური გარემოებებით (მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა), რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური, მატერიალური მხარდაჭერის საჭიროება და მიღებულ იქნეს ზომები მათს აღმოსაფხვრელად (სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გზით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის აქტიური კომუნიკაციით).

იმის გასარკვევად, თუ რა მიღწევები და გამოწვევები აქვს კოორდინატორის სამსახურს, საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა კოორდინატორების საქმიანობის მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა მონიტორინგის ანგარიში.

გარდა აღნიშნულისა, ანალიტიკური პროგრამული სისტემით განხორციელდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვისა და მათზე მონიტორინგის სისტემის სრული ავტომატიზაცია.

საქართველოს პროკურატურისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით კოორდინატორები მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლებებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, კოორდინატორებმა გაიარეს სპეზიალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებში და ასევე გადამზადდნენ ოჯახური დანაშაულის საკითხებზე.

2016-2017 წლებში კოორდინატორთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა კოორდინატორების ორი სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ერთი ვიზიტი ხორვატიის რესპუბლიკაში. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებით 2017 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები და ბროშურები.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით დაზარალებულთა ეფექტიანი რეფერირების მექანიზმის აწყობის მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს პროკურატურაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისა და იმ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს სხვადასხვა ტიპის სერვისებს აწვდიან.

შეხვედრაზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს პროკურატურაში მოქმედი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურისა და კოორდინატორების ფუნქციების შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურაში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების, სპეციალიზებული პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლების, აგრეთვე იმ ფონდებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც ოჯახში ძალადობის, აგრეთვე სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს და დაზარალებულ არასრულწლოვნებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას ან/და თავშესაფარს სთავაზობენ. მულტისექტორული შეხვედრების მიზანი იყო პროკურატურასა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის და კოორდინაციის ხელშეწყობა.

2019 წლის მაისში, საქართველოს პროკურატურისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია, რომელსაც იუსტიციის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის შესახებ და ისაუბრეს საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე.

მულტისექტორული შეხვედრები წარმოადგენდა ერთგვარ პლატფორმას არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს დაზარალებულთა სრულყოფილად ინფორმირებას და სერვისის მისაღებად დროულად გადამისამართებას. ჩატარებულმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორსა და სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას, სამუშაო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას.

2019 წელს შედგა პროკურორებისა და კოორდინატორების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა კოორდინატორის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 3006-მა პირმა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ 2020 წელს განხორციელდა 8366 აქტივობა. მოწმეებისა და დაზარალებულების საჭიროების გათვალისწინებით, კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად განახორციელეს ქვემოთ მოცემული აქტივობები.

კოორდინატორების მიერ ხშირად განხორციელებული ქმედებები



2020 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების მოწმეებსა და დაზარალებულებს:

საქმეთა რაოდენობა მუხლების მიხედვით



კოორდინატორის სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის და დანაშაულის პრევენციის მიზნით კოორდინატორების მონაწილეობით პერიოდულად იმართება სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები. მათ შორის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ინტელექტუალური და ფინანსური მხარდაჭერით ორჯერ 2017 და 2018 წლებში ჩატარდა დაზარალებულთა კვირეული, რომლის ფარგლებშიც საქართველოს დიდ ქალაქებში გაიმართა ათობით ღონისძიება. გარდა აღნიშნულისა, კოორდინატორები პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც იმართება მოსახლეობასთან, სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან.

ადგილობრივი საბჭოები

პროკურატურის რეფორმირების შემდეგ უწყებამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მიდგომები დანერგა და ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა. 2016 წლის 10 მარტს გაიმართა პროექტ ,,ადგილობრივი საბჭოს“ პრეზენტაცია. აღნიშნული პროექტი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი მოდელის მიხედვით და წარმოადგენს რეგიონულ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს, რომელშიც დანაშაულის პრევენციასთან საბრძოლველად გაერთიანებული არიან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოქალაქეები. ,,ადგილობრივი საბჭოს ძირითადი ფუნქციაა რეგიონში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციული ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების

მიღება, ინიციატივების შემუშავება სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა.

პროექტი ,,ადგილობრივი საბჭო“ 2016 წელს თავდაპირველად პილოტურად დაიწყო სამ რეგიონში, თუმცა წლების განმავლობაში მთელი საქართველო მოიცვა.

2020 წელს კი COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში კვლავ გაგრძელდა აღნიშნული პროექტის განხორციელება და დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 21 სხდომა შემდეგ ქალაქებში: თბილისი (5 სხდომა), ბათუმი, ხელვაჩაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, სამტრედია, ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი, გორი, ბოლნისი, რუსთავი, მცხეთა, სიღნაღი, სენაკი, გურჯაანი და თელავი.

თითოეულ ქალაქსა თუ რაიონში გამართულ სხდომებზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, განხილული იქნა ქვეყნის მასშტაბით საერთო, განსაკუთრებით აქტუალური საკითხი – „არასრულწლოვნებში ძალადობრივი ქცევის გამოვლინებების პრევენცია და საზოგადოების მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა“. ასევე, განხილულ იქნა უშუალოდ ამ რაიონებში გავრცელებული დანაშაულები და მათთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები.

ადგილობრივი საბჭოს მიერ 21 რაიონში გამართულ შეხვედრებზე კომპეტენტური პირების მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები დანაშაულის პრევენციის მიზნით, რომლებიც ჩატარდება პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში.

მოქალაქეთა მიღების ელექტრონული პროგრამა

საქართველოს პროკურატურა ღიაა საზოგადოების თითოეული წევრისთვის და მზად არის მოუსმინოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი პრობლემის მოგვარება პროკურატურის კომპეტენციაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2016 წლიდან საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა მოქალაქეებთან შეხვედრის სისტემა. შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა მოქალაქესთან შეხვედრის წესები.

მოქალაქესა და პროკურორს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული პროგრამის საშუალებით ხორციელდება მოქალაქესთან შეხვედრის ორგანიზება, მასში, თავს იყრის პროკურორთან შეხვედრის ყველა მოთხოვნა (ზეპირი, წერილობითი). აღნიშნული მოთხოვნების ერთ ელექტრონულ სისტემაში მოქცევა იძლევა შეხვედრის მოთხოვნის შინაარსის მქონე განცხადებების სისტემატიზაციის საშუალებას, ქმნის შეხვედრის მოთხოვნის შინაარსის მქონე განცხადებების პერიოდული ანალიზისა და ზედა რგოლის მენეჯერების ინფორმირების შესაძლებლობას განხორციელებული შეხვედრებისა და მისი შედეგების შესახებ.

მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიულ და სტრუქტურულ დანაყოფში მუშაობს, თუმცა კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში მოქალაქეებთან შეხვედრები შეზღუდულია.

სამომავლო გეგმები

სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი დოკუმენტის შემუშავება

საქართველოს პროკურატურაში მუშავდება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების სრულიად განახლებული დოკუმენტი, რომელიც სრულფასოვნად ჩამოაყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით პროკურორმა/პროკურატურის გამომძიებელმა უნდა განახორციელოს საკუთარი ფუნქციები:

- ✓ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ;
- ✓ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მხარი დაუჭიროს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებას;
- ✓ ზედამხედველობა განახორციელოს გამოძიების მიმდინარეობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე;
- ✓ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება, შეამოწმოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები;
- ✓ კოორდინაცია გაუწიოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

ახალი დოკუმენტის თანახმად, პროკურორის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაეფუძნება სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპებს, რაც დევნისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების პროცესს მოაქცევს გარკვეულ ჩარჩოებში, გახდის უფრო თანმიმდევრულსა და გამჭვირვალეს, უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას, ყოველი კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

დოკუმენტში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მაღალი სტანდარტების დანერგვასა და ეფექტიან თანამშრომლობას პროკურატურის ისეთი მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, როგორიცაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთისა და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

ხსენებული ფუნქციის განხორციელებისას ეფექტიანად იქნება დაგეგმილი და განხორციელებული:

- ✓ კონკრეტული კვლევების ჩატარება და ანალიზის შედეგებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება;
- ✓ ერთიანი ანალიტიკური მოდულის საფუძველზე მიღებული მონაცემების დამუშავება, გაუმჯობესება და გამოყენება;
- ✓ ერთგვაროვანი პრაქტიკის გატარების, გამოძიების ხარისხის ამაღლებისა და კონკრეტული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გზების შემუშავებაზე სამართალდამცავი უწყებების ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება და მართვა, კვლევების ჩატარება, სასწავლო მოდულების შემუშავება, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება, კვლევების შედეგების პრაქტიკაში იმპლემენტაციის ორგანიზება და მენეჯმენტი.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალმა დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს პროკურატურის მეშვეობით სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც გულისხმობს დანაშაულის დონის შემცირებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა წარმოადგენს, რომლის ძირითადი არსი პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღების იდეას ეფუძნება.

საქართველოს პროკურატურა აღნიშნული მიმართულებით მომავალშიც აქტიურად აპირებს რიგი მიმართულებების ოპტიმიზაციას. კერძოდ, მოხდება სამართლებრივ ანალიტიკას დაქვემდებარებული საკითხების გადახალისება, გაიზრდება სისტემაში ციფრული ტრანსფორმაციის არსებული ნიშნული, გააქტიურდება სოციოლოგიური კვლევების მიმართულება და დაიხვეწება სტატისტიკურ მონაცემებთან მუშაობის მეთოდიკა.

ციფრული ტრანსფორმაცია

საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ და საინტერესო გამოწვევას ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგეს, რომელიც, მოცემული ეტაპისთვის, 4 ძირითადი მიმართულების ავტომატიზაციას მოიაზრებს.

მოტივაციური მენეჯმენტის განვითარების მიზნით დაგეგმილია პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის გაციფროვნება. აღნიშნული სისტემა გულისხმობს ზემოხსენებულ თანამშრომელთა მრავალკომპონენტიან შეფასებას როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კომპონენტების მხედველობაში მიღებით. შეფასების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა მორგებული იქნება ამ პროცესში ჩართულ ყველა უფლებამოსილ სუბიექტზე, რომელთაც შესაბამისი ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენებით, მონაცემთა სწრაფი და ეფექტიანი დამუშავების საფუძველზე, შეეძლებათ მიიღონ მათთვის

საჭირო და საინტერესო ინფორმაცია და შეძლონ შეუფერხებელი უკუკავშირი შეფასების სისტემის მეტად დახვეწისა და მოდერნიზების მიზნით.

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას და უზრუნველყოფს მძლავრ საინფორმაციო მხარდაჭერას თანამშრომელთა რანგირების სისტემის სამართლიანად და შეუფერხებლად ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის ფარგლებში ასევე დაგეგმილია HR პორტალის შექმნა, სადაც ადამიანური რესურსების მინიმალური ჩართულობითა და ავტომატიზაციასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების მაღალი ინტენსივობით მოხდება ყველა იმ შინაარსობრივი და რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია პროკურატურის თანამშრომელთა როტაციასთან, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან, წახალისება-დისციპლინირების საკითხებთან და ა.შ. ამავე პორტალზე შესაძლებელი იქნება შეიქმნას ინოვაციური პროდუქტი - პროკურატურის თითოეული თანამშრომლის შედეგების ამსახველი ციფრული პორტფოლიოს სახით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემის დახვეწისა და ფუნქციონალური გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება დამატებითი გარე სერვისების ინტეგრაცია საერთო სასამართლოების პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რაც პროკურორებს საშუალებას მისცემს სასამართლოში წარსადგენი ნებისმიერი დოკუმენტაცია ციფრული სახით გადააგზავნონ და ასევე ელექტრონულად მიიღონ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სისხლის სამართალწარმოების პროცესის მაქსიმალური გაციფროვნების მიზნით, ასევე დაგეგმილია სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომლის საშუალებითაც მოხდება პირველ ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან, ხოლო შემდეგ სრულიად საადვოკატო კორპუსთან მტკიცებულებების ელექტრონულად გაცვლა. საქართველოს პროკურატურის მიერ ციფრული ტრანსფორმაციის კურსის ფარგლებში ასევე იგეგმება ისეთი ელექტრონული პლატფორმების შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მაქსიმალურად ყველა სუბიექტის ინტეგრაციას ციფრულ გარემოში.

აღდგენითი მართლმსაჯულების მხარდაჭერა

არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების პროგრამის შედეგების და განრიდების პროგრამაში მედიაციის პროცესის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა, აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტთან. შედეგები, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვამ მოიტანა, შემდეგია: დანაშაულის გაცნობიერება, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებში პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა, დაზარალებულის საჭიროებების გათვალისწინება, დანაშაულის ჩამდენსა და დაზარალებულს შორის დიალოგი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურატურა მხარს უჭერს აღდგენითი

მართლმსაჯულების დანერგვას განრიდება-მედიაციის პროგრამის მიღმა. ამ მიმართულებით იგეგმება კონკრეტული ღონისძიებები – პრაქტიკის ანალიზი, მედიაციის ცენტრთან მულტიდისციპლინური სამუშაო შეხვედრები, საკანონმდებლო ინიციატივების და რეკომენდაციების შემუშავება, რაც აღდგენითი მართლმსაჯულების კიდევ უფრო განვითარებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის.

პროკურატურის თანამშრომელთა სოციალური გარანტიები

საქართველოს პროკურატურის ამოცანების და ფუნქციების გათვალისწინებით, თანამშრომელთა დატვირთული და სტრესული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების და მაღალკვალიფიციური თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია სოციალური დაცვის გარანტიების სრულყოფა. ამ მიზნით პროკურატურაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა როგორც კონცეფციის ჩამოყალიბების, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავების დონეზე, იმისათვის, რათა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა მაქსიმალურად დაუახლოვდეს საერთაშორისოდ აპრობირებულ სტანდარტებს.